ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს

№90 (1600)

13-16 სექტემბერი, 1997 წელი

## იოსელიანი



## სიგუა



## კიტოვანი



# ვინ იქნება შემდეგი?

დღეს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ორი სასამართლო პროცესი: პოლიტიკურ-კრიმინალური – მხედრიონელების საქმეზე და პოლიტიკურ-ფინანსური – ყოფილი პრემიერ-მინისტრის, თენგიზ სიგუას საქმეზე. პოლიტიკურ ელფერს აძლევს მათ ის აშკარა გარემოება, რომ მთავარი ბრალდებულების სახით გვევლინებიან ახლო წარსულში ჩვენი სახელმწიფოს ბედის განმგებელნი.

მხედრიონის საქმესთან დაკავშირებული სასამართლო გარჩევის გაცნობისას, საქმეში ჩაუხედავმა ადამიანმა შეიძლება დაასკვნას, რომ თავად მხედრიონელებმა მიმართეს სასამართლოს თავისი „შეუბღალავი რეპუტაციის“ აღდგენისა და ცილისმწამებელთა მხილების მიზნით. გასაგებია, რომ

გაგრძელება მე-5 გვ.

## ვითარება საზღვარზე იძაბება

გუშინ საქართველოს სამთავრობო კომისიის წევრები საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის, მიხეილ უკლებას მეთაურობით დარიალის ხეობას ეწვია, სადაც ორი თვის წინ რუსეთის მესაზღვრეებმა ზემო ლარსის საკონტროლო გამშვებ პუნქტზე გააჩერეს სატრანზიტო სპირტით დატვირთული რუსეთში მიმავალი ცისტერნები.

რუსეთს მსგავსი კომისია ჯერ არ შეუქმნია და ამით დაარღვია საქართველოსა და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის დადებული ხელშეკრულება.

საქართველოს სამხედრო გზის მონაკვეთის დათვალიერების შემდეგ, სადაც დაგროვდა 300-ზე მეტი სპირტით დატვირთული ავტომანქანა, ქართული კომისიის წევრებმა და რუსეთის მესაზღვრეთა კავკასიის საგანგებო სასაზღვრო ოლქის ხელმძღვანელობამ სამუშაო შეხვედრა გამართეს ყაზბეგში. შეხვედრამ შედეგი ვერ გამოიღო და გადაიზარდა მხარეების მიერ ურთიერთბრალდებების დაფიქსირებაში.

„თუ რუსეთი არ მიიღებს ზომებს სპირტთან დაკავშირებით, საქართველო იძულებული იქნება დაკეტოს თავისი საზღვარი დარიალის ხეობაში“, – თქვა რუს მესაზღვრეებთან სამუშაო შეხ-

გაგრძელება მე-5 გვ.

## „ჯაბა იოსელიანის დაკავება კანონის დაცვით მოხდა“

იხილეთ მეორე გვ-ზე

## ყველა პრობლემის გასაღები „მოღალატე ხარ, არა?“

იხილეთ მეორე გვ-ზე

## დემოკრატია თუ...

იხილეთ მესამე გვ-ზე

## მოსახლეობა სამართალს ეძებს

თბილისში, ნაყიდ ბინებში მუდმივი მობინადრის უფლებით თაობების მანძილზე მცხოვრებმა მოქალაქეთა ჯგუფმა განცხადებით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს ე.შევარდნაძეს, პარლამენტის თავმჯდომარეს ზ.ჟვანიას, ქალაქის მერს ბ.შოშიტაიშვილს, უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების თავმჯდომარეებს, სხვადასხვა პარტიების ლიდერებს.

როგორც ცნობილია, ზემოთ აღნიშნული ფენისაგან ბინის მეპატრონეები 100-დან 200 დოლარამდე ქირის გადახდას მოითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი სასამართლოებს მიმართავენ. ამ უკანასკნელთა გადაწყვეტილებით კი ხდება მოსახლეობის ბინებიდან გამოსახლება.

განცხადების ავტორთა თქმით, ისინი, ახლებური კანონმდებლობის ფონზე, სოციალურად დაუცველნი აღმოჩნდნენ, რადგან საბინაო კოდექსი, რომელშიც მათი უფლებები იყო დაცული, აღარ არსებობს, ხოლო სამოქალაქო კოდექსში, რომელიც სულ მალე შევა ძალაში, მათზე საერთოდ არ არის საუბარი. „სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის უფლებათა დაუცველობა გვიბიძგებს საკუთარი ინტერესების დაცვას ყველა ხერხებით. სკანდალურმა მდგომარეობამ, მეპატრონესა და მობინადრეს შორის ურთიერთდაძაბულობამ შესაძლოა ფიზიკურ შეურაცხყოფამდე მიგვიყვანოს, რაც შეიძლება სავალალოდ დამთავრდეს და კიდეც მოხდა მკვლელობის რამდენიმე ფაქტი“ – ნათქვამია განცხადებაში. ავტორები მოითხოვენ პარლამენტის სხდომაზე მათი საკითხის განხილვას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, „იფრინდა“-ს კორესპონდენტი ესაუბრა პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს. მისი განცხადებით, კომიტეტში მიმდინარეობს კანონპროექტზე მუშაობა, რომელიც დაიცავს აღნიშნული ფენის ინტერესებს. კანონპროექტს პარლამენტი სექტემბრის ბოლოს, ან ოქტომბრის პირველივე სესიაზე განიხილავს. ნ.ბურჯანაძის თქმით, მანამდე ბინებიდან გამოსახლების პროცესი შეჩერებულია. (პრაიმ-ნიუსი)

## „კოკა-კოლა“ აფხაზური წარწერით შევა

აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილ პოლიტიკურ პარტიათა საკოორდინაციო საბჭოს ლიდერმა გერმანე ფაცაციამ გუშინდელ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ნათელი მოეფინა ქართული დელეგაციების აფხაზეთში ვიზიტის დეტალებს. მისი თქმით, „აფხაზეთში ეკონომიკის ასაღორძინებლად, „კოკა-კოლა“ აფხაზური წარწერით შევა“.

გ.ფაცაციას განცხადებით, თუ ცენტრალური ხელისუფლება 8-9 აგვისტოს, დევნილთა ყრილობაზე მიღებულ რეზოლუციას არ აამოქმედებს, დევნილი ხელისუფლება მას ხელისუფლებად აღარ მიიჩნევს.

საკოორდინაციო საბჭოს წევრის ბორის კაკუბავას თქმით, საბჭოს სექტემბერში დაგეგმილი აქვს დევნილთა მეორე ყრილობის ჩატარება, რომელიც განიხილავს პირველი ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების რეალიზაციას.

16 სექტემბერს, საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთს“ დაგეგმილი აქვს პარლამენტის წინაშე განცხადების გაკეთება, რომელშიც მოითხოვს 27 სექტემბრის სრულიად საქართველოს გლოვის დღედ დაკანონებას. ბ.კაკუბავას აზრით, ეს დღე უნდა აღინიშნოს არა ეკლესიებში ლოცვით, როგორც ხელისუფლებას აქვს დაგეგმილი, არამედ მთელს საქართველოში უნდა ჩატარდეს სამგლოვიარო მიტინგები. (იფრინდა)

## გ.ფაცაცია და ბ.კაკუბავა პარტიზანებს უერთდებიან

პარლამენტარ გერმანე ფაცაციას განცხადებით, უახლოეს მომავალში ის და ბ.კაკუბავა წავლენ აფხაზეთში, სადაც შეუერთდებიან ქართველ პარტიზანებს და ადგილზე გააგრძელებენ ბრძოლას აფხაზეთის დასაბრუნებლად. (იფრინდა)

## დაგეგმილია საპროტესტო აქციების ჩატარება

საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთი“-ს ლიდერმა გ.ფაცაციამ „იფრინდა“-ს კორესპონდენტს განუცხადა, რომ აფხაზური მთავრობის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სერგეი ბაგაფშის თბილისში ვიზიტთან დაკავშირებით, რომელიც 15 სექტემბრისთვის არის დაგეგმილი, საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილი აქვს მასობრივი საპროტესტო გამოსვლების ჩატარება. (იფრინდა)

## მოსწავლეები თავისუფლდებიან გადასახადისაგან

აფხაზეთის ა/რ მინისტრთა საბჭო აცნობებს განათლების რაიონულ განყოფილებებს, სკოლების დირექციებსა და მშობლებს, რომ დევნილი მოსწავლეები, სწავლის მესამე საფეხურზე (მეათე-მეთერთმეტე კლასები) თავისუფლდებიან სწავლის ქირის გადასახადისაგან. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულია საქართველოს კანონის „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ მე-5 მუხლის, ასევე პრეზიდენტის 1996 წლის 25 სექტემბრის ბრძანებულების თანახმად. ამ უკანასკნელში ნათქვამია, რომ დევნილი მოსწავლეების განათლება უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ, რისთვისაც აფხაზეთის ა/რ მინისტრთა საბჭომ, მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით, უნდა განსაზღვროს ტერიტორიულ ბიუჯეტში დევნილ მოსწავლეთა სწავლებისათვის საჭირო თანხების ოდენობა, ხოლო საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, მისი სახელმწიფო ბიუჯეტიდან უზრუნველყოფის წყაროები. (იფრინდა)

## „იგი თავისი შინაარსით ფედერალურია“

„თუ ჩვენ რეალურად გვინდა თვითმმართველობის პოლიტიკის ფორმირება, მკაცრ ჩარჩოებში უნდა მივცეთ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ლავირების საშუალება, ადგილობრივ გადასახადთან დაკავშირებით“ - აღინიშნა გუშინ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის შემოღებულია 7 სახის გადასახადი. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი სამეწარმეო გადასახადია, რომელიც მეწარმის მთელი საქონელბრუნვიდან 1%-ს ითვალისწინებს. კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აძლევს უფლებას ან სულ არ დააწესონ გადასახადი, ან დააწესონ 0%-იდან 1%-მდე. ეს არის დამატებითი ღირებულების გადასახადი, რომელიც შევა ადგილობრივი რაიონის ბიუჯეტში. იგი თავისი შინაარსით ფედერალურია. საქართველოს ფინანსთა მინისტრის, მიხეილ ჭკუასელის მონაცემებით, ტერიტორიული ერთეულების დღგ მთლიანად 40 მილიონს შეადგენს. (გეა)

## კავკასიის პარლამენტის საინიციატივო ჯგუფი თანახმაა შტაბ-ბინის თბილისში გახსნაზე



„სექტემბრის ბოლოს მახაჩკალაში (დაღესტანი) ჩატარდება კავკასიის პარლამენტის დამფუძნებელი ყრილობა, რომელიც განიხილავს კავკასიის გაერთიანების საკითხს“, - უთხრა პრაიმ-ნიუსს ფრაქცია „აფხაზეთის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ბორის კაკუბავამ.

მისი თქმით, „კავკასიის პარლამენტის, რომლის წევრთა რაოდენობა 50 დეპუტატამდეა, საინიციატივო ჯგუფის შეხვედრისას მიაღწიეს თანხმობას პარლამენტის შტაბ-ბინის თბილისში გახსნის შესახებ. გადაწყვეტილებას გააცნობენ დამფუძნებელი ყრილობის მონაწილეებს, რომელთაც საბოლოოდ უნდა გადაწყვიტონ ეს საკითხი“.

„მახაჩკალაში, დამფუძნებელი ყრილობის პირველ სხდომაზე, იმსჯელებენ კავკასიაში შექმნილი პოლიტიკურ ვითარების და გარე ძალების ჩაურევლობის საკითხზე“, - თქვა კაკუბავამ.

მისი თქმით, „პარლამენტში წარმოდგენილი იქნება 4 დამოუკიდებელი სახელმწიფო: საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, ჩეჩნეთი და 6 რუსეთის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკა. კავკასიის პარლამენტში წევრთა რაოდენობა განისაზღვრება ეროვნული პარლამენტების 3-7 დეპუტატით. სხდომები მონაცვლეობით ჩატარდება კავკასიის პარლამენტის წევრ რესპუბლიკებში“.

„პარლამენტის დამფუძნებელ სხდომას უხელმძღვანელებს დაღესტნის ეროვნული მოძრაობის ლიდერი გაჯი მახაჩევი, მისი თანათავმჯდომარეები იქნებიან: ინგუშეთიდან - ახმედ ნალგიევი, აზერბაიჯანიდან - ვილაიათ კულიევი, საქართველოდან კი მე ვიქნები“, - დასძინა კაკუბავამ. (პრაიმ-ნიუსი)

# ყველა პრობლემის გასაღები „მოღალატე ხარ, არა?“

საქართველოს პრობლემები თავზე საყრელად აქვს. იმტვრევენ თავებს ჩვენი პოლიტიკოსები, რომ რამენაირად ქვეყანა ფეხზე დააყენონ. თურმე, აგერ ყურისძირში ყველა პრობლემაზე გამზადებული პასუხები აქვთ და კაციშვილმა ამის შესახებ არაფერი იცის. ღმერთი ჩვენსკენ არის და მიახედა კიდეც. ბატონი პრეზიდენტი იქით. აწი, იმედი გქონდეთ, ყველაფერს ეშველება.

ეროვნული იდეოლოგიის პარტიაა ის, ვისაც ყველა პრობლემის გადაწყვეტა აგერ უკვე ექვი წელია წინ უდევს. ბევრი რომ არ გავაგრძელო, იმ დეკლარაციის ძირითად პუნქტებს მოგიყვანთ, რომელიც პარტიის ექვსი წლისთავისათვის მიძღვნილ პრესკონფერენციაზე წაიკითხა მისმა თავმჯდომარემ ზურაბ გაგნიძემ.

მისი განცხადებით: პარტიამ უკვე შეასრულა მისი მიზნის ნახევარი (აფერუმ, ექვს წელიწადში - ნახევარი. მეორე ექვს წელიწადში მეორე ნახევარიც იქნება და მერე ნახეთ...). თურმე ეროვნული იდეოლოგია ეროვნული იდეოლოგიის პარტიის შექმნილი ყოფილა (გზები? „წვრილმან“ საქმეებს რომ თავი დავანებოთ, ისინი ახსნა-განმარტებით სამუშაოს ეწეოდნენ). ამდენი ბრძოლის შემდეგ ე.შევარდნაძემ აღიარა ეროვნული იდეოლოგიის აუცილებლობა და აღარც დაახანა (განა შეიძლებოდა კი ამისთანა შესაძლებლობის ხელიდან გაშვება?), ხელი მოაწერა პარტიასთან თანამშრომლობას. თავის მხრივ პარტიაც სრულ მზადყოფნას გამოთქვამს პრეზიდენტთან თანამშრომლობისათვის. ეროვნული იდეოლოგია გადაჭრის საქართველოსთვის ყველაზე საჭირბოროტო (მეტი რაღა გინდა, ახლა პრობლემები ნახეთ!) პრობლემებს: აფხაზეთის, სამაჩაბლოს, დემოგრაფიულ (ამ პროცესში უშუალოდ თუ ჩაერთვებიან თვითონ, თორემ გაღატაკებულ ქართველს ის ერთი შვილიც ალბათ უკვე ზედმეტად მიაჩნია) საკითხებს. ეროვნული იდეოლოგია გვიხსნის ფუნდამენტალიზმისაგან (რადგანაც ფუნდამენტალიზმს თურმე უსაშველო შიში აქვს ამ ყოვლისმკურნალი ფენომენისა). ბოლოს კი სტაბილურობა მთელს მსოფლიოში (ტაში, მქუხარე, ხანგრძლივი, რომელიც ოვაციებში გადადის).

არა, ბოდიში, ეს ისე სიტყვების პათოსს უხდება, თორემ არავითარი ტაში იქ არ ყოფილა. მაგრამ ყველა პრობლემის ასე იოლად გადაწყვეტის პერსპექტივამ ძალიან დააინტერესა იქ შეკრებილი საზოგადოება. წამოვიდა კითხვების წვიმა, მარა რა წამოვიდა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, მიხედე იდეოლოგიას და ყველაფერი მოგვარდება.

მოვიდა სეტყვა და დახვდა ბატონი თავმჯდომარე უპასუხოდ (უფრო ზუსტად, ულაპარაკოდ) არცერთი კითხვა არ გაუშვია. ისე გათამამდა, რომ ეროვნული ეკონომიკური სტრუქტურის შექმნის თავისი კონცეფცია შემოგვთავაზა. ყოველივე გენიალური ხომ მარტივია? ან აქამდე როგორ ვერ ვხვდებოდით?

ეროვნული საკუთრება იქნება უზენაესი. იგი გააერთიანებს როგორც კერძო, ისე სახელმწიფო საკუთრებას. ხელისუფლება მიდის, მოდის, იტაცებს თანხებს და აპარტახებს ქვეყანას. აი ეროვნული ბიუჯეტი ხალხის მიერ იქნება მართული და ვერცერთი ხელისუფლება ვეღარ გაანიავებს. მოკლედ, თუ კონკრეტულად გაინტერესებთ, ეს მექანიზმები როგორ განხორციელდება, მიბრძანდით ბატონ ზ.გაგნიძესთან და ყველაფერზე დიდხანს გელაპარაკებათ.

იქვე წაგვიკითხეს რამდენიმე დეკლარაცია, მიმართვა, რომელთა ადრესატები იყვნენ რ.ადამია, ვ.ნადიბაიძე, რ.მიმინოშვილი, თ.კვაჭანტირაძე და სხვები. თითოეული დეკლარაცია რამდენიმე პუნქტისაგან შედგებოდა და მხოლოდ საგაზეთო ფართის ეკონომიის მიზნით არ მოვიყვანთ მათ სრულიად, მითუმეტეს, რომ ყველას ერთი შინაარსი ჰქონდა, დაახლოებით ასეთი: „განა შეიძლება, ქართული X (უცნობის ადგილას ჩასვით რაც გინდათ) ეროვნული იდეოლოგიის გარეშე?“.

და მაინც, ყველაზე საინტერესო კავკასიის ქვეყნების პრეზიდენტებისა და პარლამენტისადმი მიძღვნილი მიმართვა იყო, სადაც საკომუნიკაციო ენად ქართული ენის დაფუძნება იყო შეთავაზებული. როგორ? თუ ისინიც ჩვენი ეროვნული იდეოლოგიით იხელმძღვანელებენ, - რატომაც არა?

სასაცილოა, ალბათ, საშიში რომ არ იყოს. ვისი იდეები არ გამოუყენებიათ დიქტატორებს დემაგოგიის იარაღად. შემდეგ თვით იდეების ავტორები, ეშმაკმა (ფუი, ეშმაკს) უწყის, სად მოუსვრიათ. მით უმეტეს, პრეზიდენტი, როგორც ვიცით, ტყუილ სვლებს არ აკეთებს. ასე რომ, არ გაგიკვირდეთ, ვინმე რომ დააპატიმრონ ერთ-ორ წელიწადში: „ახ, მოღალატე ხარ, არა?“

**პაატა მანჭულაშვილი**

# „ჯაბა იოსელიანის დაკავება კანონის დაცვით მოხდა“

„მხედრიონის“ ყოფილი ლიდერი, პატიმრობაში მყოფი ჯაბა იოსელიანი თავისუფალი პრესისადმი გამოგზავნილ წერილში ითხოვს გაარკვიონ, რატომ არ ათავისუფლებენ მას პატიმრობიდან, როდესაც ამის შესახებ არსებობს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 1995 წლის 15 ნოემბრის №100 დადგენილება.

როგორც ამასთან დაკავშირებით პრაიმ-ნიუსს უთხრა საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილემ სოსო ყიფიანმა, რომელიც ჯაბა იოსელიანის საქმის გამოძიებას ხელმძღვანელობდა, „ჯაბა იოსელიანის დაპატიმრების კანონიერება შეისწავლა როგორც გენერალურმა პროკურორმა, ისე უზენაესმა სასამართლომ. მათ ჯაბა იოსელიანის დაკავება კანონიერად ჩათვალეს“.

შეიარაღებული ფორმირება „მხედრიონის“ დამაარსებელს და ლიდერს - ჯაბა იოსელიანს ბრალი ედება 1995 წლის 29 აგვისტოს ტერორისტული აქტის ორგანიზებაში საქართველოს პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ. ამ ბრალდების გარდა მას წაყენებული აქვს რიგი სხვა ბრალდებებისა. დაახლოებით, ერთი თვის წინ 72 წლის ჯაბა იოსელიანმა შიმშილობა დაიწყო და მოითხოვდა შეხვედრას საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რაც ბოლოს დააკმაყოფილეს კიდეც.

ჯაბა იოსელიანის მტკიცებით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის 1995 წლის 15 ნოემბრის №100 დადგენილების თანახმად, დანაშაულია მისი, როგორც დეპუტატის დაპატიმრება და მისმა დამკავებლებმა პასუხი უნდა აგონ კანონის წინაშე.



„როდესაც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოთქვა თავისი აზრი, ჩვენ მათ პასუხი გავუგზავნეთ, რასაც რეაგირება აღარ მოყოლია. ამიტომ, ჩავთვალეთ, რომ პროკურატურის პასუხი საარჩევნო კომისიამ დამაკმაყოფილებლად მიიჩნია“ - უთხრა პრაიმ-ნიუსს ყიფიანმა. (პრაიმ-ნიუსი)

## აზერბაიჯანელები მიწების გამოყოფას ითხოვენ

გუშინ, 11 საათზე, სახელმწიფო კანცელარიასთან გარდაბნის რაიონის სოფელ ვახტანგისის აზერბაიჯანული მოსახლეობის 100-მდე წარმომადგენელმა მეორედ მოაწყო აქცია, მათთვის მიწების გამოყოფის მოთხოვნით.

როგორც აზერბაიჯანელებმა პრაიმ-ნიუსს უთხრეს, 26 აგვისტოს იგივე მოთხოვნით იყვნენ მისული სახელმწიფო კანცელარიის შენობასთან, სადაც ესაუბრნენ სახელმწიფო კანცელარიის კონსულტანტს სიმონ შარაძეს, რომელიც შეპირდა, რომ ჩავიდოდა სოფელ ვახტანგისში და ადგილზე იმსჯელებდა პრობლემების გადაწყვეტის გზებზე.

შარშან თბილისის ფირმა „გეო-აგრომ“, გარდაბნის რაიონის გამგეობის თანხმობით, ვახტანგისის კოლმეურნეობისაგან ერთი წლით აიღო იჯარით 350 ჰა მიწა. ვადის გასვლის შემდეგ ფირმამ მოსახლეობას განუცხადა, რომ საიჯარო ხელშეკრულება გარდაბნის გამგეობასთან 10 წლით გააგრძელა, - ჩიოდნენ აქციის მონაწილენი.

როგორც მაშინ პრაიმ-ნიუსს სიმონ შარაძემ უთხრა, ის მიწა, რომელსაც აქციის მონაწილეები ითხოვენ, კანონით არ ეკუთვნით, რადგან სოფელ ვახტანგისის მეურნეობა სპეციალიზებულია და პრეზიდენტის ბრძანების თანახმად არ დაიშლება. ამ სოფლის მოსახლეობა მეზობელი სოფლის მიწებით უნდა დააკმაყოფილონ, თუკი ამის შესაძლებლობა იქნება. (პრაიმ-ნიუსი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საფრანგეთის ელჩმა დაასრულა თავისი მისია

პრეზიდენტის პრეს-სამსახურის ცნობით, გუშინ საქართველოს პრეზიდენტს ე.შევარდნაძეს გამოსამშვიდობებელი ვიზიტით ეწვია საფრანგეთის ელჩი საქართველოში ბერნარ ფასიე, რომელმაც დაასრულა თავისი უფლებამოსილების ვადა. ელჩმა საქართველოს პრეზიდენტს კიდევ ერთხელ დაუდასტურა ჩვენი ქვეყნისადმი თავისი განსაკუთრებული დამოკიდებულება და აღნიშნა, რომ მისი მოღვაწეობის პერიოდში ქვეყანა მოწესრიგდა, შეიქმნა სოლიდური ინსტიტუტები, გამოცოცხლდა ეკონომიკა. ბ.ფასიე ამ წარმატებებს უკავშირებს საქართველოს ხელისუფლების და ქვეყნის მეთაურის მიერ განხორციელებულ პოლიტიკას, რომლითაც, ელჩის თქმით, აღფრთოვანებულია საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი და მისი ქვეყნის ხელმძღვანელობა.

ე.შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა ბ.ფასიეს საქართველოსათვის ურთულეს წლებში აქტიური მხარდაჭერისა და თანადგომისათვის. (იფრინდა)

## ავტოკოლონას ცეცხლი გაუხსნეს

ჩრდილოეთ კავკასიის საგანგებო სასაზღვრო ოლქის პრესცენტრმა გაავრცელა განცხადება, რომლითაც ქართველ მესაზღვრეთა ქმედებები შეაფასა როგორც „სამსახურეობრივი მოვალეობისადმი არაკეთილსინდისიერი მიდგომა, ან სურვილი, ხელი არ შეუშალონ საქართველოდან რუსეთში სპირტის კონტრაბანდას".

როგორც ცნობილია, მამისონის უღელტეხილზე, რუსმა მესაზღვრეებმა, მას შემდეგ, რაც მათ ბრძანებას არ დაემორჩილნენ, საქართველოს მხრიდან მიმავალ ავტოკოლონას ცეცხლი გაუხსნეს და სამ ავტომობილზე საბურავები დაუშვეს. დაკავების შემდეგ მძღოლები ამტკიცებდნენ, რომ რუსეთის ტერიტორიაზე საქონლის საკვების გადმოსატანად გადავიდნენ. (გეა)

## სარჩელი მერიის წინააღმდეგ

ბეა-ს ცნობით, „სახალხო ფრაქციის" წევრი დავით ჭეიშვილი ითხოვს სარჩელის აღძვრას თბილისის მერიის წინააღმდეგ.

მისი თქმით, ავტოტრანსპორტის ფლობის გადასახადის აკრეფასთან დაკავშირებით კანონის უხეში დარღვევა ხდება: იმის ნაცვლად, რომ გადასახადის მოკრეფა საგზაო ფონდის მიერ მოხდეს, ამას ახორციელებს თბილისის მერია, რომელიც თავისთვის იტოვებს 50%-ს, საიდანაც მხოლოდ ნახევარს ახმარს გზების შეკეთებას, ნახევარს კი საკუთარი ხარჯებისთვის იყენებს.

დეპუტატ ჭეიშვილის აზრით, ის ნორმატიული აქტი, რომელიც მერიის მიერ ავტოტრანსპორტის ფლობის გადასახადის აკრეფას ითვალისწინებს, უკანონოა და მისი გაუქმება დროულად უნდა მოხდეს.

რაც შეეხება თბილისის მერიის მიერ მითვისებულ 25%-ს, ჭეიშვილი ბოლომდე აპირებს ამ საკითხის გარკვევას და სარჩელის აღძვრას კატეგორიულად ითხოვს. (გეა)

# კომისია დარიალის ხეობაში გაემგზავრა

„იფრინდა"-ს კორესპონდენტის ცნობით, გუშინ დილით, დარიალის ხეობაში, ზემო ლარსის საკონტროლო გამშვებ პუნქტზე გაემგზავრა სპირტის ტრანზიტთან დაკავშირებით შექმნილი ქართულ-რუსული კომისია. ქართული მხრიდან კომისიის შემადგენლობაში არიან საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე მიხეილ უკლება, რომელიც ხელმძღვანელობს ქართულ მხარეს, საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე მაიორი გელა ხუციშვილი, საგზაო პოლიციის უფროსის მოადგილე ჯუმბერ წივილაძე. კომისია ადგილზე გაეცნობა საქართველო-რუსეთის საზღვარზე დაგროვილ სპირტით დატვირთულ ავტოცისტერნებთან დაკავშირებით შექმნილ რთულ ვითარებას.

აღსანიშნავია, რომ საგარეო უწყებასთან გუშინ დილით მისულმა იმ ქართველმა ჟურნალისტებმა, რომლებსაც საკუთარი ტრანსპორტი არ ჰყავდათ, ვერ შეძლეს დარიალის ხეობაში გამგზავრება, რადგან მათთვის ადგილების გამოძებნა ვერ თუ არ მოხერხდა. ამასთან დაკავშირებით, „იფრინდა"-ს კორესპონდენტს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-სამსახურში განუცხადეს, რომ მათ თავიდანვე გააფრთხილეს საზღვარზე წასვლის მსურველი ჟურნალისტები, რომ სამინისტრო ტრანსპორტით ვერ უზრუნველყოფდა, რადგან, მათივე თქმით, ეს საგარეო უწყების პრობლემა არ არის. აქვე დავძენთ, რომ გაუგებარია, თუ ვისი პრობლემაა ქართველი ჟურნალისტებისათვის აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ადგილზე ვითარების გაცნობა. ეს იმ დროს, როდესაც აღნიშნული საკითხი საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობებს შეეხება, რისი დასტურიცაა საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის საზღვარზე გამგზავრება.

რაც შეეხება რუსეთის ტელევიზიას, (ОРТ, РТР) ისინი საზღვარზე თავიანთი ტრანსპორტით გაემგზავრნენ. აღნიშნულიდან გამომდინარე გასაკვირი არ იქნება, რომ სპირტთან დაკავშირებულ პრობლემას რუსული მხარე საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე გააშუქებს. (იფრინდა)

# მინისტრი ნეგატიურად აფასებს სიტუაციას

„რუსი მესაზღვრეების მიერ დაკავებული სპირტით დატვირთული ავტოცისტერნები არ შეიძლება ჩაითვალოს კონტრაბანდულ ტვირთად, თუნდაც იმიტომ, რომ ტვირთი რუსეთის ტერიტორიაზე არ მიუღიათ და არც შეუმოწმებიათ" - განაცხადა ბაქოში ჟურნალისტებისათვის მიცემულ ინტერვიუში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, გენერალ-ლეიტენანტმა კახა თარგამაძემ.

მინისტრმა ნეგატიურად შეაფასა საქართველო-რუსეთის საზღვარზე შექმნილი სიტუაცია და განაცხადა, რომ საქმის ასეთი ვითარება დიდ ზიანს აყენებს საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყანას. მინისტრის თქმით, საქმეს ისიც ართულებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე სპირტი ფოთის საზღვაო ტერმინალიდან შემოვიდა, სადაც თვით რუსი მესაზღვრეები მსახურობენ, ანუ რუსეთის ფედერალურმა საზღვაო სასაზღვრო სამსახურმა ეს ტვირთი საქართველოს ტერიტორიაზე შემოუშვა და, ამავე დროს, უარს აცხადებს ამ ტვირთის რუსეთში შეშვებაზე.

იმის თაობაზე, რომ რუსეთ-საქართველოს საზღვარზე მდგარ ავტოცისტერნებში უხარისხო ან ფალსიფიცირებული სპირტი ასხია, კახა თარგამაძემ კომენტარისაგან თავი შეიკავა, რადგან, მისი თქმით, საერთაშორისო ნორმების მიხედვით, სატრანზიტო სახელმწიფო ტრანზიტულ ტვირთებს არ ამოწმებს და საზღვრიდან საზღვრამდე დალუქულს ატარებს.

როგორც თარგამაძემ აღნიშნა, ამჟამად საზღვართან 1500-მდე მანქანა დაგროვდა. ნაწილი საზღვარს გამოსცილდა, ხოლო ნაწილი ადგილზე ცლის სპირტს. მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ საკითხი დადებითად გადაწყდება ქართულ და რუსულ მხარეებს შორის ამ საკითხთან დაკავშირებით გამართულ მოლაპარაკებებზე. (ბეა)

● აზრი

# დემოკრატია თუ...

*„აზრის კარგად გამოთქმის ცოდნა განსაკუთრებით ცუდად მოწყობილ სახელმწიფოში საჭირო, სადაც იმარჯვებენ არა ისინი, რომელთა მხარეზეც სიმართლეა, არამედ ისინი, რომლებმაც კარგი ლაპარაკი იციან".*

**არისტოტელე**

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მომზადებულ კანონპროექტს „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" ქვეყნის პარლამენტსა და საზოგადოებაშიც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. დავის საგანია ქალაქის მერებისა და რაიონის გამგებელთა არჩევითობის საკითხი. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ისინი (ძირითადად) ინიშნებიან პრეზიდენტის მიერ.

რა თქმა უნდა, ეს ორივე მეთოდი დასაშვებია, მაგრამ საკითხავია, რომელი როდის? თუ ჩვენ მთავრობასა და ხელისუფლებას (განსაკუთრებით ე.წ. IV- ეს) დავუჯერებთ, ახლა დემოკრატიულ სახელმწიფოს ვაშენებთ, თუმცა დემოკრატია მრავალგვარია (სოციალ-დემოკრატია, ნაციონალ-დემოკრატია და ა.შ.) და როგორც ჩანს, სხვა და სხვას - სხვადასხვაგვარად ესმის. ზოგადად, დემოკრატიის რამდენადმე კლასიკურ განსაზღვრას ჯერ კიდევ დიდი ბერძენი მოაზროვნე არისტოტელე გვაძლევს: „დემოკრატია მმართველობის ისეთი ფორმაა, სადაც ხელმძღვანელი ადგილები კენჭისყრით ნაწილდება, ოლიგარქიაში - სიმდიდრის მიხედვით, არისტოკრატიაში - განათლების მიხედვით". ამ მსჯელობიდან ლოგიკურად გამომდინარეობს:

- ხელმძღვანელი ადგილები ერთი პიროვნების მიერ ნაწილდება დიქტატორულ სახელმწიფოში.

აგრძელებს რა ზემოაღნიშნულ მსჯელობას, არისტოტელე წერს: „დემოკრატიის მიზანია თავისუფლება, ოლიგარქიისა - სიმდიდრე, არისტოკრატიისა - განათლება და კანონმდებლობა, ტირანიისა - სახელმწიფოს დაცვა".

აღნიშნულ სფეროში მეცნიერულმა აზრმა, რა თქმა უნდა, არისტოტელედან დღემდე ძალიან წინ წაიწია, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ყველა დროის გენიალური დამრიგებელი იმთავითვე გვაფრთხილებდა: - „დემოკრატია სუსტდება არა მხოლოდ თავისუფლებით, ასე რომ, ბოლოს ოლიგარქიად იქცევა, არამედ დიდი სიმკაცრითაც".

ახლა ამ ე.წ. „გულუბრყვილო ფილოსოფიაში" ჩვენი გულუბრყვილო ექსკურსის შემდეგ, თუ იმასაც ვიტყვით, რომ არისტოტელე წინააღმდეგი იყო არჩევითობისა: „მმართველის კენჭისყრით არჩევა იმას ჰგავს, რომ ათლეტს ირჩევდნენ არა იმის მიხედვით, შეუძლია თუ არა მას ბრძოლა, არამედ კენჭისყრით, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწონთ არჩეული და არა მცოდნე" (ეს და ყველა ციტატა მოყვანილია არისტოტელეს „რიტორიკა"-დან), გასარკვევი დაგვრჩება მხოლოდ ის, თუ როგორ საზოგადოებას ითვალისწინებდა ამ სიტყვების ავტორი და შეიძლება თუ არა ის მიესადაგოს ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას და ჩვენი საზოგადოების ცივილიზების დღევანდელ დონეს.

საქართველოში ამ ბოლო წლებში ბევრჯერ ჩატარდა სხვადასხვა დონისა და რანგის არჩევნები, როგორც შედეგებმა გვიჩვენა. საქართველოს ელექტორატი ყველა ამ არჩევნებში შეცდა. აქ ოპონენტი შემედავება: „ელექტორატი არ შემცდარა. არჩევნები გააყალბეს". კეთილი ბატონო, მე ამ შემთხვევაშიც არისტოტელეს დავიმოწმებ: „...ეს იმას ჰგავს, რომ ვინმეს სახაზავის გამოყენება სურდეს და წინასწარ გაღუნოს ის". ე.ი. ყველა შემთხვევაში, საზოგადოება, რომელიც არჩევნების გაყალბებას უშვებს - არჩევნებისათვის მზად არ არის.

დიახ, დღეს საქართველოს ელექტორი მზად არ არის არჩევნებისთვის. ე.ი. მას არ შეიძლება ანდო ხელმძღვანელ პირთა, თუ ორგანოთა არჩევა. ამ აზრს, როგორ უცნაურადაც არ უნდა გეჩვენოთ, იზიარებს ქვეყნის არსებული ხელისუფლება, ის ადამიანები, ვინც ხელისუფლებაში არჩევნებით მოვიდნენ. საკუთარი დამსახურებისა და ღირებულებისადმი ასეთი თვითკრიტიკული მიდგომა, სხვა რომ არა იყოს რა, მისასალმებელიც კია, მაგრამ გასარკვევი რჩება, როდის მომწიფდება ჩვენი საზოგადოება ისე, რომ შესაძლებელი იყოს მას მივანდოთ საკუთარი გამგებლების არჩევა? - თუ მაშინ, როცა არჩევანში ასე აღარ შეცდება, როგორ გავიგებთ, თუ როდის აღარ შეცდება, თუ არჩევნებს აღარ ჩავატარებთ?

პრეზიდენტის შიში, რომ ქვეყნის ქალაქებსა და რაიონებში მერებისა და გამგებლების არჩევის შემთხვევაში სხვადასხვა ადგ-

გაგრძელება მე-4 გვ.

## პროექტი აზრთა სხვადასხვაობას იწვევს

გუშინ პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტში გაიმართა სხდომა, რომელზეც განიხილებოდა „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის" პროექტი.

კანონპროექტმა, რომელიც იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა, აზრთა სხვადასხვაობა და კამათი გამოიწვია სახელმწიფო სამართალდამცავ და სამართალაღმასრულებელ სტრუქტურათა წარმომადგენლებს შორის. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა თქმით, კანონის დებულებები რიგ შემთხვევაში ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. მასში შემცირებულია წინასწარი მოკვლევის ორგანოების როლი და დაცული არ არის გამოძიების პროცესუალური გარანტიები, ამავე დროს იზრდება პროკურატურის ფუნქციები. პროექტში შემოთავაზებული პროცესუალური ნორმების დაცვა, განსაკუთრებით წინასწარი გამოძიების ვადებთან დაკავშირებით, დღეს არსებული პირობების გათვალისწინებით შეუძლებელია.

კომიტეტის თავმჯდომარის, მიხეილ სააკაშვილის თქმით, კოდექსის საბოლოო ვარიანტის მიღებამდე ბევრი საკითხი დაიხვეწება და დარეგულირდება. (ბეა)

## აღმოსაფხვრელია ზოგიერთი უზუსტობა

საქართველოს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა" კოდექსის თანახმად, საგზაო პოლიციას სატრანსპორტო საშუალების დროებით სარგებლობაში გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის უფლება აქვს, რაც სცილდება მის უფლებამოსილებას. კანონის თანახმად, ეს უნდა ხორციელდებოდეს სანოტარო და სასამართლო წესით. საგზაო პოლიციას მხოლოდ ადმინისტრაციული მომწესრიგებელი ფუნქცია ეკისრება, ისიც მხოლოდ ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლუატაციის სფეროში.

არაკანონიერია აგრეთვე დღეს არსებული წესი, რომლის მიხედვითაც ნოტარიუსის მიერ გაცემულ სატრანსპორტო საშუალების მფლობელობის დამადასტურებელ დოკუმენტს საგზაო პოლიციაში რეგისტრირება სჭირდება.

ვინაიდან ნოტარიუსის მიერ გაცემული დოკუმენტები ძალაში შესვლისთვის არ საჭიროებენ რეგისტრაციას რომელიმე ორგანოში, ამიტომ მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი ძალაში უნდა იყოს გაცემის დღიდან, ხოლო თუ დოკუმენტი გაცემის დღიდან რეგისტრაციის გარეშე დარჩა, ამისთვის დოკუმენტის მფლობელი პასუხს არ უნდა აგებდეს. ამ უზუსტობების აღმოსაფხვრელად უახლოეს სასესიო კვირაში საქართველოს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა" კოდექსში პარლამენტი შესაბამის ცვლილებებსა და დამატებებს შეიტანს. (გეა)

# დემოკრატია თუ...

მესამე გვერდიდან

ილას სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებების პირებს აირჩევენ, რის გამოც მას როგორც ქვეყნის მეთაურს მათთან ურთიერთობა გაუძნელდება, ლოგიკური და გასაგებია. დანიშვნის შემთხვევაში ყველა ისინი ერთი – პრეზიდენტის პოლიტიკის გამტარებლები იქნებოდნენ, მაგრამ ლოგიკური და გასაგებია მოქალაქეთა შიშიც, რომ მათთვის ხელმძღვანელთა დანიშვნის შემთხვევაში, ამ უკანასკნელთა და მათ შორის შეიძლება სულაც საპირისპირო ინტერესები და შეხედულებები გაჩნდეს.

მაშ რა ვქნათ, რა გადავწყვიტოთ, აირჩეს, თუ დაინიშნოს ადგილობრივი მმართველები? ეს დილემა ეტყობა კომუნისტების წინაშეც იდგა, მაშინ მათ ეს ერთობ ორიგინალურად გადაწყვიტეს: ფორმალურად თანამდებობები არჩევითი იყო, ფაქტიურად კი ისინი ინიშნებოდნენ, როგორც ვნახეთ, იმ მეთოდმაც არ გაამართლა.

თუ დემოკრატიის მიზანი ოლიგარქიაა, რაც ერთობ საყურადღებოა, მაშინ იქნებ პირდაპირ გადავსულიყავით ოლიგარქიულ მმართველობაზე და ქალაქების და რაიონების ხელმძღვანელები არჩეულიყო ქონების მიხედვით? შესამჩნევად გაამარტივებდა პრობლემას, თუ ასეთ ხელმძღვანელად აირჩეოდა ის, ვინც თავის დაქვემდებარებულ მოსახლეობას შესთავაზებდა არა მხოლოდ თეორიულ დაპირებებს, არამედ პრაქტიკულ დახმარებას საკუთარი ქონებიდან. პრინციპით: – „თანამდებობა – ფული“. ეს მაინც ასე მოხდება და არ სჯობია, რეალობა დავაკანონოთ? ამავე დროს აღნიშნულ თანამდებობებზე უნდა აირჩნენ მოკლე დროით, ერთი, მაქსიმუმ ორი წლით. ვფიქრობ, მხოლოდ ამ შემთხვევაში შესძლებს ჩვენი გასაცოდავებული საზოგადოება არსებულ ეტაპზე მათგან სხვადასხვა საშუალებებით, კანონიერად თუ უკანონოდ, ნიჭიერ, ენერგიულ, მოქნილ... პიროვნებათა მიერ ამოღებულ, მათთვის მიტაცებულ ქონების რამდენადმე უკან დაბრუნებას.

მაშ რა ვქნათ, ავირჩიოთ?

**იგორ პაპარიძე**

# ქართველი მებრძოლების ნეშტების გადმოსვენება გაურკვეველი ვადით გადაიდო

ბაბუშერას აეროპორტიდან ქართველი მებრძოლების ნეშტების გადმოსვენება გადაიდო იმის გამო, რომ აფხაზები ქართული მხარისაგან მოითხოვენ იმ ადგილის მითითებას, სადაც დამარხულია აფხაზეთის მწერალთა კავშირის წევრი ტაიფ აჩბა, – აცნობა პრაიმ-ნიუსს საქართველოს ძალოვან სტრუქტურებთან დაახლოებულმა კომპეტენტურმა წყარომ.

11 სექტემბერს ბაბუშერას აეროპორტიდან უნდა დაწყებულიყო აფხაზეთში დაღუპულ ქართველ მებრძოლთა გადმოსვენების პროცესი. შეთანხმებას ამის თაობაზე მიაღწიეს 5 სექტემბერს გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში გამართულ შეხვედრაზე, როცა ერთმანეთს შეხვდნენ გადასვენების და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების საკითხებზე მომუშავე ქართული და აფხაზური კომისიები.

როგორც პრაიმ-ნიუსს აცნობა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველმა მოადგილემ ავთანდილ იოსელიანმა, „უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების საქართველოს სახელმწიფო კომისიის წევრებმა ოჩამჩირისა და სოხუმის რაიონებში იპოვეს აფხაზთა ნეშტების 7 საფლავი, რომლებშიც 40-მდე ადამიანია დამარხული“.

დღეისთვის სახელმწიფო კომისიის წევრები კვლავ აფხაზეთში იმყოფებიან და ინტენსიურად განაგრძობენ ტაიფ აჩბას საფლავის ძებნას, – იტყობინება პრაიმ-ნიუსის კორესპონდენტი ზუგდიდიდან. (პრაიმ-ნიუსი)

# „დევნილ მოსახლეობას ცენტრალური ხელისუფლება აღარ ჰყავს“

„ცოტა ხანში ჩვენ პარტიზანები და ჯარისკაცები გავხდებით, რადგან ამ ბრძოლის დღევანდელი მეთოდებით საქმე არ კეთდება“, – განაცხადა საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთის“ ლიდერმა გერმანე ფაცაციამ აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭოს პრესკონფერენციაზე.

მისი თქმით, „9 სექტემბრის შემდეგ აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას ცენტრალური ხელისუფლება აღარ ჰყავს,



რადგან ყრილობის რეზოლუციით გათვალისწინებული მოთხოვნები ხელისუფლებამ არ შეასრულა“.

სრულიად საქართველოს დევნილთა ყრილობამ მიმდინარე წლის 9 აგვისტოს მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმად, „აფხაზეთში დსთ-ის ეგიდით მყოფმა რუსეთის ე.წ. სამშვიდობო ძალებმა, აგრეთვე აღნიშნულ ტერიტორიაზე განლაგებულმა ყველა სამხედრო შენაერთმა, უპირობოდ უნდა დატოვონ ოკუპირებული ტერიტორია. რეზოლუციის ერთი თვის ვადაში აუმოქმედებლობის შემთხვევაში საქართველოს დევნილი მოსახლეობა გაემიჯნება და დაუპირისპირდება ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს“, – ნათქვამია რეზოლუციაში.

გერმანე ფაცაციას მიაჩნია, რომ „აფხაზეთის დევნილი ხელისუფლება მაინც ოპოზიციური ხელისუფლებაა და ეს მხარე გაფორმდა მათი მონაწილეობით ყრილობის ორგანიზებაში“.

რაც შეეხება იმას, თუ რა ფორმით დაუპირისპირდება დევნილი მოსახლეობა საქართველოს ხელისუფლებას, რომლის წევრი თვითონ გერმანე ფაცაციაც არის, იგი პასუხობს „ჩვენ ქვების სროლას არ დავიწყებთ, არც ვარდიკო ნადიბაიძის ნათხოვარი იარაღით ვაპირებთ რუსთაველის გალამაზებას. დღევანდელ ხელისუფლებას, წინა ხელისუფლებისაგან განსხვავებით, გაცილებით მეტი სივრაგე გააჩნია“.

ფრაქცია „აფხაზეთის“ წევრმა ბორის კაკუბავამ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა: „არ გამართლდა სახელისუფლებო იერარქიების წარმომადგენელთა ვარაუდი ფრაქცია „აფხაზეთის“, დევნილთა საკორდინაციო საბჭოს, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს დაშლის შესახებ. ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ აფხაზეთის ხელისუფლებას, არ დავიშლებით, პირიქით ერთმანეთს გავიტანთ და ერთად ვიქნებით“, – დასძინა კაკუბავამ. (პრაიმ-ნიუსი)

● განვმარტავთ კანონს

# აირჩიეთ საცხოვრებელი ადგილი თავისუფლად

**1996 წლის** 27 ივნისს მიღებული იქნა საქართველოს კანონი საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ. ამ კანონით თავისთავად გაუქმდა ადრე არსებული ჩაწერის ინსტიტუტი და მის ნაცვლად შემოღებული იქნა რეგისტრაცია. რა შეიცვალა ამით და შეიცვალა თუ არა რამე საერთოდ? ეს კითხვა ალბათ მრავალ მკითხველს აინტერესებს, რადგან, როგორც ჩანს, მოქალაქეები ხშირად აიგივებენ რეგისტრაციას ჩაწერასთან.

ჩვენი მიზანია განვმარტოთ, თუ რას ნიშნავს რეგისტრაცია, რისთვისაა იგი საჭირო, როგორ ხდება რეგისტრირება და სხვა. მაგრამ, როცა ვსაუბრობთ რეგისტრაციის შესახებ, აუცილებლად უნდა მივანიშნოთ ის განსხვავებანი, რაც არსებობს რეგისტრაციასა და ადრე არსებულ ჩაწერას შორის.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციისა და ადამიანისა და მოქალაქის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტების შესაბამისად ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, იქნება ეს საქართველოს მოქალაქე, უცხო ქვეყნის მოქალაქე, თუ მოქალაქეობის არმქონე პირი, გარანტირებული აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება. უნდა ითქვას, რომ ჩაწერის დროს მოქალაქეთა ეს კონსტიტუციური უფლებები ფაქტიურად უგულებელყოფილი იყო, რადგან ერთი ბინიდან ამოწერა და სხვა ბინაში ჩაწერა, საერთოდ ჩაუწერლობა და ა.შ. მრავალ პრობლემებთან და ხელოვნურ ბარიერებთან იყო დაკავშირებული. ეს იმიტომ, რომ ჩაუწერლად ცხოვრება არ შეიძლებოდა, ჩაწერა კი თავისთავად გულისხმობდა ბინაზე საკუთრების უფლების წარმოშობას. ასე რომ, ყოველ პირს უნდა ეცხოვრა მხოლოდ თავის საკუთარ ბინაში. სხვის ბინაში (მაგ. ნათესავის, ახლობლის და სხვა) ცხოვრების და ჩაწერის შემთხვევაში პირი ავტომატურად ხდებოდა ამ ბინის თანამესაკუთრე. ახლა, როცა ჩაწერა გაუქმებულია, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევა მართლაც შესაძლებელია, რადგან პირს შეუძლია იცხოვროს როგორც საკუთარ, ასევე სხვის ბინაში (რა თქმა უნდა ამ ბინის მესაკუთრის თანხმობით). ჩაწერისაგან განსხვავებით რეგისტრაცია ან რეგისტრაციის არქონა არ იწვევს ბინაზე საკუთრების უფლების აღიარებას ან დაკარგვას. ე.ი. თუ პირი ცხოვრობს და რეგისტრირებულია სხვის ბინაში (ამ ბინის მესაკუთრის თანხმობით), იგი არ უნდა ჩაითვალოს ბინის თანამესაკუთრედ. ამავე დროს შეიძლება პირი არ ცხოვრობდეს და შესაბამისად არ იყოს რეგისტრირებული თავის საკუთარ ბინაში, მაგრამ იგი მაინც ამ ბინის სრულ მესაკუთრედ რჩება, თუნდაც ამ ბინაში მისი თანხმობით რეგისტრირებულნი იყვნენ სხვა პირები. ე.ი. რეგისტრაციის მიზანია არა ბინაზე საკუთრების უფლების აღიარება (როგორც ეს იყო ჩაწერის შემთხვევაში), არამედ პიროვნების შესახებ მონაცემების დადგენა, რათა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს მისი მოძებნა. ასევე იმისთვის, რომ პირმა მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა და შეყვანილი იქნას ამომრჩეველთა სიაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

კანონის თანახმად საქართველოს მოქალაქე, საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პირი ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია თავისი. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი მის საკუთრებაში). იმ შემთხვევაში, თუ პირს რამოდენიმე საცხოვრებელი ადგილი გააჩნია (არ არის აუცილებელი ისინი იყოს მისი საკუთრება, მთავარია პირი იქ ცხოვრობდეს), მაშინ რეგისტრაცია უნდა გაიაროს ერთ-ერთი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომელსაც იგი აირჩევს. 16 წლამდე ასაკის პირებმა, აგრეთვე მზრუნველობისა და მეურვეობის ქვეშ მყოფმა პირებმა (თუნდაც ეს უკანასკნელები სრულწლოვანები იყვნენ), რეგისტრაცია უნდა გაიარონ, ე.ი. უნდა იცხოვრონ მშობლებთან, მზრუნველთან, მეურვესთან ან სხვა კანონიერ წარმომადგენელთან ერთად. მათი დამოუკიდებლად რეგისტრაციაში გატარება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზემოთხსენებული პირები ამის შესახებ განაცხადებენ წერილობით თანხმობას.

საქართველოში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა და უცხოელთა რეგისტრაციას და რეგისტრაციიდან მოხსნას ახორციელებენ შინაგან საქმეთა შესაბამისი ორგანოები, მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. რაც შეეხება საზღვარგარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს, მათაც უნდა გაიარონ რეგისტრაცია. მათ რეგისტრაციაში გატარებას და რეგისტრაციიდან მოხსნას კი აწარმოებენ საქართველოს შესაბამისი დიპლომატიური წარმომადგენლობანი, ე.ი. საელჩოები ან საკონსულო დაწესებულებანი.

ახლა ვნახოთ თუ როგორ ხდება რეგისტრირება. რეგისტრაციისათვის პირმა უნდა წარადგინოს განცხადება, სადაც აღნიშნული უნდა იყოს პირის სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და განცხადების წარდგენის თარიღი. მან უნდა წარადგინოს აგრეთვე პირადობის მოწმობა (ეს ეხება საქართველოს მოქალაქეებს), ხოლო საქართველოში მცხოვრებმა უცხოელებმა უნდა წარადგინონ ბინადრობის მოწმობა, რადგან მათზე საქართველოში პირადობის მოწმობები არ გაიცემა. რეგისტრაციისათვის საჭიროა საცხოვრებლის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენაც, ხოლო თუ საცხოვრებლის მესაკუთრე სხვაა, მაშინ პირმა უნდა წარმოადგინოს ამ მესაკუთრის წერილობითი თანხმობა. რაც შეეხება იმ პირს, რომელსაც არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი, მან რეგისტრაცია უნდა გაიაროს მისამართის მითითების გარეშე, იმ დასახლებული პუნქტის მიხედვით, სადაც იგი იმყოფება. ამავე დროს ეს პირი ვალდებულია სამ თვეში ერთხელ გამოცხადდეს შინაგან საქმეთა იმ ორგანოში, სადაც რეგისტრირებულია იგი. თუ პირი წარადგენს ყველა ზემოთჩამოთვლილ დოკუმენტს უკლებლივ, მაშინ მას არ შეიძლება უარი ეთქვას რეგისტრაციაში გატარებაზე.

თუ პირი შეიცვლის საცხოვრებელ ადგილს სამ თვეზე მეტი ხნით, მაშინ მან კვლავ უნდა გაიაროს რეგისტრაცია ახალი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. იგი ვალდებულია საცხოვრებლის შეცვლიდან ათი დღის ვადაში მიმართოს შინაგან საქმეთა ორგანოს ახალ საცხოვრებელ ადგილას და წარადგინოს რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაცია, რის შემდეგაც ხუთი დღის ვადაში უნდა მოხდეს ამ პირის რეგისტრირება. ახალი რეგისტრაციის ორგანო ვალდებულია პირის რეგისტრაციაში გატარებიდან სამი დღის ვადაში აცნობოს იმ ორგანოს, სადაც ადრე იყო რეგისტრირებული ეს პირი. ამ ორგანომ კი პირი რეგისტრაციიდან უნდა მოხსნას ერთი დღის ვადაში. რეგისტრაციის ორგანო ვალდებულია პირის რეგისტრაციაში გატარებიდან ათი დღის განმავლობაში აცნობოს შესაბამის სამხედრო კომისარიატს პირის ვინაობა, მისი საცხოვრებელი ადგილის მისამართი და რეგისტრაციის თარიღი. პირის მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში კი შესაბამის კომისარიატს უნდა აცნობოს იმ ორგანომაც, სადაც იყო რეგისტრირებული და უნდა მიუთითოს რეგისტრაციიდან მოხსნის თარიღი.

თუ პირის მიერ სამ თვეზე მეტი ხნით საცხოვრებელი ადგილის შეცვლა გამოწვეულია წინასწარი პატიმრობის სასჯელის მოხდის ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებით, მაშინ ეს პირი არ არის ვალდებული გაიაროს ხელახალი რეგისტრაცია. ასეთ შემთხვევაში მისი ახალი ადგილსამყოფელი უნდა ეცნობოს იმ ორგანოს, სადაც რეგისტრირებულია იგი.

ამრიგად, კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ, რომ რეგისტრაციის მიზანია ამა თუ იმ პირის შესახებ მონაცემებისა და მისი ადგილსამყოფელის დადგენა და არა საცხოვრებელზე საკუთრების უფლების მინიჭება (როგორც ეს იყო უკვე გაუქმებული ჩაწერის დროს).

ბოლოს ინფორმაციის სახით გვინდა გაცნობოთ, რომ რეგისტრაციის დადგენილი წესების დარღვევა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 285-ე მუხლის თანახმად გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ათ, ხოლო განმეორებით ჩადენის შემთხვევაში ოც მინიმალურ ოდენობამდე.

**ზურა ქიქიძე,**
**ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია**

# კიტოვანი, სიგუა, იოსელიანი... ვინ იქნება შემდეგი?

პირველი გვერდიდან

სასჯელს ისინი მაინც მიიღებენ და საკუთარ მეთაურთან ერთად კიდევ არაერთ წელიწადს გაატარებენ საპყრობილეში. თუმცა, ერთი საქმეა საკითხის მორალური მხარე და საზოგადოების დარწმუნებულობა იმაში, რომ მათ სამართლიანად ასამართლებენ და გაასამართლებენ, ხოლო მეორეა იურიდიული, სამართლებრივი ასპექტები.

საიდუმლო არ არის, რომ ბრძოლა ორგანიზებულ დანაშაულობასთან საკმაოდ რთული საქმეა, რაზეც ნათლად მეტყველებს აშშ-ის, იტალიისა და სხვა სახელმწიფოთა გამოცდილება. ყველაზე განთქმული და მოხერხებული მაფიოზები და განგსტერები წლობით და ათწლეულობით (ზოგჯერ კი სიცოცხლის ბოლომდეც) ახერხებენ მართლმსაჯულებისგან თავის დაძვრენას, რადგან სასამართლოები ვერ პოულობენ დანაშაულთან მათი უშუალო კავშირის სამხილს. მაგალითად, ყველამ შეიძლება იცოდეს, რომ კონკრეტული პიროვნება მართავს ნარკობიზნესს, რომ მისი პირდაპირი ბრძანებით არაერთი კონკურენტი და დანაშაულის მოწმე გაუყენეს ნაადრევად საიქიოს გზას, მაგრამ არ არსებობს სამხილი. ამიტომაც, რაკი სამხილი არ არსებობს, არ არსებობს არც მათი პატიმრობაში აყვანის შესაძლებლობაც.

რა თქმა უნდა, საზოგადოება უზარმაზარ ზიანს განიცდის იმის გამო, რომ ვერ ხერხდება ორგანიზებული დანაშაულობების ხელმძღვანელთა ციხეებში გამომწყვდევა, მაგრამ საქმის ამგვარად დაყენება იმავე საზოგადოებას იფარავს უფრო დიდი, შეიძლება ითქვას – დამღუპველი შედეგებისაგან. მხედველობაშია მოქალაქის გასამართლების შესაძლებლობის გამორიცხვა (ვინც არ უნდა იყოს იგი) მისი დამნაშავეობის დამადასტურებელი სარწმუნო მტკიცებების უქონლობის შემთხვევაში. აქ სამართალი და მორალი ხელიხელჩაკიდებულნი მოქმედებენ გამომდინარე იმ მოსაზრებიდან, რომ უმჯობესია ათეული დამნაშავის დაუსჯელად დატოვება, ვიდრე ერთი უდანაშაულოს სასიკვდილოდ გამეტება.

მსგავსი სიტუაცია წარმოიშვა მხედრიონის საქმესთან დაკავშირებითაც. ნაკლებად თუ ეპარება ვინმეს ეჭვი (თუ კი საერთოდ ვინმეს ეპარება), რომ ამ ორგანიზაციის წევრების სინდისზე საკმარისზე მეტი სისხლის სამართლის დანაშაულია, ვიდრე ეს ყველაზე მკაცრი სასჯელის გამოსატანადაც კი არის საჭირო. სამწუხაროდ, ნაკლებად თუ ფიქრობს ვინმე იმაზე, რომ თუ ამ დანაშაულობების ჩადენა არ არის სათანადოდ დამტკიცებული, მაშინ არც გასამართლება შეიძლება. არ შეიძლება თუნდაც იმ უბრალო მიზეზით, რომ თუ ეს დავუშვით, ხვალ შეიძლება ნებისმიერის ჯერი დადგეს, ვინც რაიმე მიზეზის გამო თვალში არ მოუვა ხელისუფლების სადავეების მპყრობელთ. მათ შორის ხელისუფალთა ყოფილი ფავორიტების ან, თუნდაც, იმ ხელისუფალთა ჯერიც, ვინც ამა თუ იმ გარემოებების გამო „ყოფილად" იქცა.

რა თქმა უნდა, საქმე, უპირველეს ყოვლისა, მიდის საგამოძიებო ორგანოების უსუსურობამდე, რომლებიც კვლავინდებურად ერთგულად იცავენ საბჭოთა „მართლმსაჯულების" იდეოლოგის – ვიშინსკის პრინციპს – „აღიარება მტკიცებულებათა დედოფალია". მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც მოიპოვებენ ამ აღიარებებს, ნაკლებად განსხვავდება იმათგან, რომელთაც ვიშინსკის დროს იყენებდნენ. ერთი დეტალის გარდა – მაშინ ნაკლებად თუ გაბედავდა ვინმე უარის თქმას გამოძიების მსვლელობისას მიცემულ ჩვენებებზე, რადგან ეშინოდათ ამ მეთოდების შესაძლო უფრო „დახვეწილი" განმეორებისა. ახლა პირობები გარკვეულწილად შეიცვალა – მეტი გახსნილობაა, ავად თუ კარგად, მაგრამ მაინც მოქმედებენ სამართალდამცავი ორგანიზაციები (მათ შორის საერთაშორისოც) და უარის თქმა გამოძიების მსვლელობისას მიცემულ ჩვენებებზე ლამის სისტემად იქცა. ჩვენებებზე უარს ამბობენ ბრალდებულნი, უარს ამბობენ მოწმეები. საბოლოოდ, ბრალდებიდან მცირედი ნაწილი თუ რჩება საქმესთან დაკავშირებით.

მიუხედავად ყოველივე ამისა, საბრალდებო განაჩენები მაინც გამოაქვთ, და ეს იქამდე გაგრძელდება, ვიდრე საქმით და არა სიტყვით იქნება უზრუნველყოფილი სასამართლოების და მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, ვიდრე ისინი დაცულნი არ იქნებიან ხელისუფლების მპყრობელთა ზეწოლისაგან, ვიდრე მათ არ უზრუნველყოფენ ღირსეული და უსაფრთხო ცხოვრებისთვის აუცილებელი შემოსავლებით, რომელიც მათ მოსამართლის მაღალმა წოდებამ უნდა მოუტანოს; ვიდრე კანონი მართლაც უნივერსალური არ გახდება, ანუ თანაბრად არ შეეხება ყველას ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე.

მაგრამ, ვიდრე ეს მოხდება... იქამდე კიტოვანი ციხეში იქნება, როგორც ეს გარეგნულად მოჩანს, აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში ძალის გამოყენებით დაბრუნების მცდელობისთვის, ხოლო იოსელიანს მორიგ პატიმრობაში გააგზავნიან, ალბათ, საბედისწერო ხუმრობისთვის სხვისი „მერსედესის" თაობაზე.

სიგუასთან დაკავშირებული სიტუაცია კიდევ უფრო „სალაღობოა". თითქოს, მისი დაპატიმრება უხერხულიც კი არის – მაინც ინტელიგენტი კაცია, რომელსაც კიტოვანისაგან და იოსელიანისაგან განსხვავებით არ გააჩნია ციხის გამოცდილება. არადა, როგორ უნდათ წარმოადგინონ იმ ძირითად დამნაშავეთა რიგში, ვინც პასუხს აგებს ყოველივეზე, რაც თავს დაგვატყდა. ამიტომ, ბრალად უყენებენ სახელმწიფო ხაზინისთვის ზარალის მიყენებას 11 მილიონი დოლარის ოდენობით (ნეტავ ეს ერთადერთი დანაკარგი ყოფილიყო სახელმწიფო ხაზინიდან!) და სთხოვენ ზარალის ანაზღაურებას. თანაც, „დაზარალებული" მხარე – მხედველობაშია ფინანსთა სამინისტრო – რაღაც უცნაურად იქცევა – ჯერ სკურპულოზურად ითვლის დანაკარგებს და პროკურატურის მეშვეობით უყენებს სარჩელს, შემდეგ კი უკან იხევს და აცხადებს, რომ არ გააჩნია პრეტენზიები სიგუას მიმართ. მხოლოდ ყოვლისშემძლე პროკურატურა არ უხვევს პირველ ჩვენებას და მოითხოვს საბრალდებო ვერდიქტს მაშინ, როცა კოლიზია აღარ არსებობს და არავინ არავის არაფერს ედავება.

მთლად გაუგებარი რამ ხდება სიგუას ყოფილი მრჩევლის მიმართ, რომელსაც ავალდებულებენ შეფთან ერთად, სანახევროდ, აუნაზღაუროს ხაზინას ზარალი. თუ დასასჯელია რჩევებისთვის (მრჩეველი კი იმის მრჩეველია, რომ ურჩიოს და არა მიიღოს გადაწყვეტილებები), მაშინ იმ პირებითაც უნდა დაინტერესდნენ, ვინც ურჩევდა სახელმწიფოს მეთაურს – ედუარდ შევარდნაძეს საფინანსო სისტემისთვის დამღუპველი ეროვნული ბანკის დვალიშვილისდროინდელი პოლიტიკის მხარდაჭერას, რომლის წინააღმდეგაც, სხვათა შორის, კატეგორიულ პროტესტს გამოთქვამდა სიგუა.

თუმცა, შესაძლოა ამ მრჩეველთა რიგი ჯერ არ დამდგარა. როგორც გვასწავლის საბჭოეთის ყოფილი და პოსტსაბჭოეთის ამჟამინდელი გამოცდილება, უპრიანია ყოველთვის გყავდეს თადარიგში „ხალხის მტრების" მორიგი ჯგუფი, რომელთა წარმოჩენა განტევების ვაცებად ესოდენ მოსახერხებელია.

**იულიანე ხაინდრავა –**
**სპეციალურად პრაიმ-ნიუსისათვის**

# ვითარება საზღვარზე იძაბება

პირველი გვერდიდან

ვედრის შემდეგ მიხეილ უკლებამ. მისი თქმით, ვითარება საზღვარზე სულ უფრო იძაბება, რადგან რუსი მესაზღვრეები უარს ამბობენ სპირტით დატვირთული მანქანების რუსეთში შეშვებაზე, ხოლო უკან დაბრუნება, მას შემდეგ, რაც მათ საქართველოს საბაჟო პუნქტი გაიარეს, სატვირთო მანქანებს აღარ შეუძლიათ.

ზამთარი ახლოვდება და შესაძლოა მალე დარიალის ხეობაში თოვლი წამოვიდეს. ტვირთით დატვირთული მანქანების მძღოლებისთვის, რომლებმაც საქართველო-რუსეთის ნეიტრალურ ზონაში ორი თვის ყოფნის მანძილზე საცხოვრებლებად აქციეს თავისი ავტომობილები, ასეთი პერსპექტივა მხოლოდ ახალ პრობლემებს ითვალისწინებს.

„ჩვენ არ გავატარებთ ტრანსპორტს რუსეთში, რადგან მათ მფლობელებს არ გააჩნიათ რუსეთის კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები", – განაცხადა უკლებასთან შეხვედრისას კავკასიის საგანგებო სასაზღვრო ოლქის მეთაურმა გენერალ-პოლკოვნიკმა ვლადიმერ რუზლიაევმა, რომელმაც ყაზბეგში გამართული მოლაპარაკებების შემდეგ უარი თქვა ჟურნალისტებთან ურთიერთობაზე და მსწრაფლ დატოვა საქართველოს ტერიტორია.

მანქანების გატარებასთან დაკავშირებული პრობლემის გარდა, მხარეებს შორის კამათი გაჩაღდა რუსეთის ცალმხრივი გადაწყვეტილების თაობაზეც – გადმოეწია საზღვარი 500 მეტრით ნეიტრალური ზონის სიღრმეში.

როგორც პრაიმ-ნიუსს აცნობა საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ვლადიმერ იაშვილმა, 1994 წლის მაისში საქართველო და რუსეთი შეთანხმდნენ სახელმწიფო საზღვრის განსაზღვრამდე შეექმნათ 860-მეტრიანი ნეიტრალური ზონა. იაშვილის თქმით, ეს ხელშეკრულება რუსეთმა ორი თვის წინ დაარღვია, როცა ამ ღონისძიებას დროებითი უწოდა და სპირტის პრობლემას დაუკავშირა.

პრაიმ-ნიუსთან საუბარში კავკასიის საგანგებო სასაზღვრო ოლქის პრეს-ცენტრის ხელმძღვანელმა სერგეი ლივანცევმა აღნიშნა, რომ „რუსეთს საქართველოსადმი არანაირი პრეტენზიები არ გააჩნია". თუმცა, მისი თქმით, ეს სპირტი კონტრაბანდულად ითვლება, რადგან რუსეთი გადასახადების სახით ყოველთვიურად კარგავს მისგან 2–3 ტრილიონ რუბლს.

„ლოგიკით, ჩვენთვის გაცილებით მომგებიანია რუსეთში სპირტის შემოტანა ნოვოროსიისკიდან", – უთხრა პრაიმ-ნიუსს ლივანცევმა.

უკლებამ უარყო რუსი მესაზღვრეების პრეტენზიები სპირტის მფლობელთა დოკუმენტაციისადმი და აღნიშნა, რომ „ისინი შეესაბამება მსოფლიოში მიღებულ სტანდარტებს". თუ რუსეთის მესაზღვრეებს არ მოსწონთ რაიმე ამ დოკუმენტებში, ეს მათი პრობლემაა, რომელიც საკუთარ ტერიტორიაზე უნდა გაარკვიონ, – თქვა უკლებამ.

ამასთანავე, გუშინ რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაავრცელა განცხადება, რომლის თანახმადაც მან მხარი დაუჭირა რუსი მესაზღვრეების და მებაჟეების ქმედებებს.

„ჩვენ გაკვირვებულნი ვართ რუსეთის მხარის ქმედებებით და ვუთხარით მესაზღვრეებს, რომ გადასცენ რუსეთის ხელისუფლებას ჩვენი პოზიცია", – უთხრა ჟურნალისტებს მიხეილ უკლებამ. მისი თქმით, მსგავსი ქმედებებით რუსეთი ვერ შეძლებს საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის დისკრედიტირებას.

**ინგა დადიანი,**
**პრაიმ-ნიუსი**

# საგადასახადო კოდექსში შეტანილია ცვლილებები

**გუშინ** საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, მიხეილ ჭკუასელმა განაცხადა, რომ ზაფხულის დასაწყისში მიმდინარე ინვალიდთა აქციის მოთხოვნების შესაბამისად საგადასახადო კოდექსში შეტანილია ცვლილებები, რომლებიც ინვალიდთა საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და საწარმოების დაბეგვრის შესახებ შეღავათებს ითვალისწინებს.

საგადასახადო კოდექსის ახალი რედაქციის თანახმად, თუ საწარმოებში დასაქმებულთა შორის ინვალიდები არანაკლებ 70%-ს შეადგენენ (უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა საზოგადოებებისა და საწარმოებისათვის – არანაკლებ 50%-ს) და საგადასახადო წლის განმავლობაში ინვალიდებისათვის გადახდილი ხელფასი შეადგენს საზოგადოებრივი გაერთიანებისა და საწარმოების ხელფასის ფონდის არანაკლებ 70%-ს, (შესაბამისად, ყრუ-მუნჯთა და უსინათლოთა საწარმოებში 50%-ს), ისინი თავისუფლდებიან მოგების გადასახადისგან. ეს გათავისუფლებული თანხა არ უნდა აღემატებოდეს საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და საწარმოების მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში ინვალიდებისთვის გადახდილი ხელფასის თანხის სამმაგ მოგებას.

რაც შეეხება ინვალიდთა გათავისუფლებას დღგ-სგან, ამ საკითხში მიღწეულია შეთანხმება. ვინაიდან ინვალიდები ამ გადასახადისაგან გათავისუფლებას სოციალური პროგრამების რეაბილიტაციისთვის საჭირო თანხის გამო ითხოვენ, ფინანსთა სამინისტრომ მათ დამცავი მექანიზმი შესთავაზა: ინვალიდთა ყველა ორგანიზაციის ანგარიშები თავმოყრილი იქნება ხაზინაში, რომელსაც ექნება სპეციალური კოდი და დამტკიცებით წარმოდგენილი სოციალური პროგრამებისთვის მათ გადაერიცხებათ ეს თანხა მიზანმიმართულად ხარჯვისთვის.
**(ბეა)**

### სერიიდან „დებილი ბავშვის შესახებ“

ბავშვი ორი წლის არის. მამა თოვლში ასეირნებს. მიუყვებიან გაკვალულ ბილიკს.

ბავშვი დაიკუზა, ორივე ხელში თოვლი აიღო და მამას ერთს აჩვენებს:

– მამა, ესა ლა ალის?

– თოვლი, შვილო.

– ესა? – ახლა მეორე ხელში რომ თოვლი ჰქონდა, ის აჩვენა.



* * *

სამი წლის მამამ ზოოპარკში წაიყვანა, ცოცხალი ბუნება უნდა გააცნოს, ცნობიერების ჰორიზონტი რომ გაუფართოვდეს. პირველად მივიდნენ მაიმუნთან. მამამ ბავშვის განსწავლულობის დემონსტრირება მოინდომა სულ ტყუილად.

– შვილო, ამას რა ჰქვია?

– ბეჰემოთი. მამას შერცხვა, ხალხმა ყურადღება მიაქცია.

ბავშვმაც იგრძნო.

ახლა სპილოსთან მიიყვანა, იმ იმედით, რომ სპილო ყველა ბავშვმა (დებილმაც კი) იცის, რომ – სპილოა.

– ამას რა ჰქვია, შვილოოო...?

ბავშვმა წარბები შეკრა, იფიქრა, იფიქრა (ემანდ კიდევ არ შემეშალოსო) და ბოლოს საზეიმოდ განაცხადა:

– ბეჰემოთი. ხალხმა ეჭვის თვალით დაუწყო ცქერა. ეს ბავშვი დებილი ხომ არ არისო.

მამამ ეშმაკობა იხმარა და ამჯერად ბეჰემოთთან წაიყვანა. „ხომ ხედავთ, ჩემი შვილი სულაც არ არის დებილი“ (გულში ფიქრობდა, რა თქმა უნდა).

– აბა, ეს რა არის, შვილო? საზეიმოდ შეეკითხა მამა და წინასწარ მოემზადა სწორი პასუხის გასაგონად.

ბავშვმა დაიწყო ფიქრი. იფიქრა. იფიქრა. იფიქრა. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ დაიღრიალა:

– აბა მე რა ვიცი, რა არიიი..!



* * *

როდესაც შვიდი წლისა გახდა, მამამ გადაწყვიტა, ამისგან კაცი არ გამოვაო და გადაწყვიტა, მანქანის ტარება ესწავლებინა.

– წამოდი, შვილო, მანქანის ტარება უნდა გასწავლო.

მიიყვანა, ჩასვა მანქანაში და დაიწყო:

– ეს გაზია, ეს სიჩქარეების კოლოფი, ეს კონუსი, საჭე...

– მანქანა სად არის, მანქანა?

# იუმორის გვერდი-წუთშესვენება

## ჩვენი სტუმარია სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობი დავით მჭედლიძე

### ძეხვი

1976 წელია, მივდივართ თურქეთში საგასტროლოდ. წასვლის წინ ჩაგვი-



ტარეს დიდი ინსტრუქტაჟი. დაგვარიგეს, იქაურმა ქართველებმა თუ გითხრეს, როგორ ცხოვრობთო, უპასუხეთ, რომ არაფერი გვიჭირს და კარგად ვცხოვრობთო, ასე თქვით ამაზე, იმაზე ისე თქვითო და ერთი სიტყვით, საბავშვო ბაღის მოწაფეებივით.

თან წავიღეთ უამრავი საჭმელი, ნატურალური თუ კონსერვის სახით. არ გვინდოდა გასტროლის ხელფასის დახარჯვა, რადგან ყოველი ჩვენგანი ფიქრობდა რაიმე ეყიდა თავისთვის, ახლობლისთვის, ანდა აღებული ფულით აქ შეგვეძინა რამე. ამიტომაც ორმაგად დაზურგულები წავედით, ისე, რომ ორი დღის პურიც კი გავიყოლეთ თან. მე სხვადასხვა კონსერვებთან ერთად სამი „სერველადის“ ძეხვიც ჩავდე ჩანთაში. სამი თუ ოთხი დღე მოვიარეთ ირანი, ავღანეთი და ჩავედით თურქეთში, გავჩერდით ართვინში.

დავჯექით საჭმელად, კონსერვებთან ერთად ამოვიღე ძეხვი და ვხედავ, ობი აქვს მოდებული. ამხანაგს ვეუბნები, რა ვუყო ახლა ამას-მეთქი? – გადააგდე, თუ ძმა ხარ, არ მოვიწამლოთო.

მომერიდა, ამხელა ძეხვი როგორ გადავაგდო, დამლაგებელი ისედაც გაგიჟებული იყო, ყოველდღე იმდენი ნაგავი გაჰქონდა ნომრიდან კონსერვების სახით. მეც ვნახე გამოსავალი, ძეხვი გავახვიე ქაღალდში, გავედი სანაპიროსაკენ, იქვე ბორდიური დავლანდე, ვტკუცე და იმის ქვეშ ამოვდე, თან მიმოვიხედე, ხომ არავინ შემამჩნია-მეთქი, მაგრამ გადავრჩი, არავის დავუნახივარ.

დავბრუნდი ნომერში და ბიჭებთან დავიწუწუნე, ამხელა გზაზე ნატარები ძეხვი გამიფუჭდა და გადავაგდე-მეთქი.

მეორე დღეს ვიხედები აივნიდან და ვხედავ, ჩემს ძეხვს როგორ დაათრევენ თურქი ბავშვები სანაპიროზე და ერთობიან.

გამბურძგლა ტანში. შემეშინდა ბავშვებს არ ეჭამათ და ტვინმა დაიწყო გამალებული მუშაობა, ვაითუ ბავშვებმა გემო გაუსინჯეს, მოიწამლნენ, ეგრევე მე მომადგებიან, რადგან ყველას ვუთხარი, ძეხვი გამიფუჭდა-მეთქი, თანაც უზარმაზარი საბჭოური ბეჭდები არტყია... საფეთქლები დამებერა.

მე, თბილისში რომ იტყვიან, „ინტერნაციონალურ“ უბანში ვიზრდებოდი და ცოტა აზერბაიჯანული ვიცოდი. ვიფიქრე, იქნებ შევასმინო რამე ამ ბავშვებს-მეთქი. – ჯალბურ იალბუ... დავიწყე მე ბავშვებს შეეშინდათ და გაიქცნენ. ამ ხმაურზე გამოვიდა სასტუმროს პატრონი, ერთ-ერთ ბავშვს დაუძახა და რაღაცის კითხვა დაიწყო. ამის შემხედვარე ცივად შემოვბრუნდი ნომერში, რომ იტყვიან, შემოვიძურწე.

ცოტა ხანში მეძახის ჩვენი ხელმძღვანელი, მეკითხება – შენ გადააგდე ძეხვიო?

უარის თქმას აზრი არ ჰქონდა, კი-მეთქი ვუთხარი. და ველოდები რაღაც საშინელებას, ბავშვის მოწამვლას, ცუდად ყოფნას, სიკვდილს და ბოლოს ჩემს დაჭერას. აფსუს კაცო, სად ვფუჭდები ერთი გაუბედურებული ძეხვის გამო? – ვფიქრობ ჩემთვის.

ამ დროს იღება კარები, შემოდის სასტუმროს პატრონი და მიღიმის. ხელში უჭირავს რაღაცა შეფუთული, რომელიც გამოკრულია ბაფთებში და ბრჭყვიალა ქაღალდში. რა აღიმებს ნეტა ამ კაცს, ნუთუ თურქეთში დაჭერის წინ დამნაშავეებს ულიმიან? გამკრა გულმა და სიცივემ დამიარა ტანში. გამომიწოდა ეს ბრჭყვიალა რაღაც და მეუბნება, ესო, თქვენ რომ ძეხვი დაკარგეთ, ის არისო, ბავშვებს გამოვართვიო.

ახლა ჩვენი ხელმძღვანელი მეკითხება – რატომ გადააგდეო?

– გაფუჭდა და გადავაგდე, აბა რა უნდა მექნა-მეთქი? – გავიკვირვე მეც.

– ბიჭო, სერვილადს რა გააფუჭებს, სულ რომ მზის გულზე იდოსო? მითხრა მან.

სასტუმროს პატრონი გავისტუმრეთ ღიმილიანი მადლობებით, გავხსენით ეს ათასგვარ ბაფთებში გამოკრული ძეხვი. მართლაც არაფერი არ სჭირდა, ის, რაც ზევიდან ჰქონდა, მოვაცალეთ, სასმელი გავხსენით და პურთან ერთად გემრიელად მივირთვით.

კურიოზი ის იყო, რომ ერთი დღის მოგზაურობის შემდეგ ამდენი თამაშისა და გართობის მერე ძეხვმა ისევ ჩემთან მოაღწია და ბუმერანგივით დამიბრუნდა.

### ხოხ,სინიორა!

გასტროლები გვიმთავრდებოდა კუბაში. ორი დღეც და სახლში ვბრუნდებოდით. მოგეხსენებათ, იმ ძველი ინსტრუქტაჟის ამბები. აკრძალული გვქონდა მარჯვნივ მარცხნივ გახედვა, დალევა – არა, გართობა – არა, ქალები – არა.

არა და ქალები დადიოდნენ?. მალლები, შზვართები, შოკოლადისფერები, თვალებრიალები. მოკლედ, ვდგევართ სამი ვაჟკაცი სასტუმროს წინ, ხან ერთი მანქანა გააჩერებს ქალებით სავსე,



ხან მეორე, გვიკრავენ თვალს – ბამოს კონ მიგო (წამოდი ჩემთან, მეგობარო), ჩვენ ხელებს გავასავსავებთ, ნო-ნო (არა-არა) – ვდუდღუნებთ, თან ვსკდებით გულზე.

გავუშვით ასე ხუთამდე მანქანა ულამაზესი ქალებით სავსე. გააჩერა მეექვსემ. გადმოყო ერთმა „დასაწვავმა“ თავი და გვეძახის – „ფს, ფს“ (მიმართვა ოფიციანტებისა და უბრალო ადამიანებისადმი) – გვეუბნება, წამოდითო, თან უზის ორი ულამაზესი „შოკოლადკა“ უკან. ჩვენ გადავხედეთ ერთმანეთს, ჯანდაბას, რაც იქნება, იქნებაო, ჩავსხედით და გავყევით.

მიდის მანქანა და მიდის ვაჭრობა, არა ამდენს მოგცემ,არა იმდენსო. კარგა შორს მანძილზე გავედით ქალაქიდან. ქალები თანხას უწევენ თანდათან. ჩვენ კი ფული იმდენი აღარა გვაქვს, გროშებს ვითვლით, რაც გვაქვს, ზედ უნდა დავახარჯოთ და ვწუწუნებთ.

ჩვენი ერთი მეგობარი მეგრელი იყო. უყურებს ის ერთ-ერთ გოგოს და აღფრთოვანებას ვერ მალავს: ხოხ, სინიორინა, ხოხ! ისიც უჭუჭუნებს თვალებს და აგიჟებს ამ საწყალს.

მივედით სადღაც ტყეში. მძღოლმა დაახიგნალა, აიწია რაღაც უზარმაზარი ბრეზენტის ფარდა, გამოჩნდა სამსართულიანი გაჩახჩახებული შენობა. გადმოვედით. გოგონები გვეუბნებიან, ოთახის და სალაროს ფული წინასწარ მოგვეცითო. ჩვენც შევაკოწიწეთ, როგორც იქნა. ახლა ტაქსის ფულიც გადასახდელიაო და ათი პესოც იმაზე „აგვწაპნეს“. ცოტა გვერდზე მიდექით და დაგიძახებთო – გვითხრეს. ჩვენც განზე მდგარი პალმებისაკენ გავიწიეთ.

ეს გოგოები უცბად მოწყდნენ ადგილს, ჩასხდნენ მანქანაში და გავარდნენ. ჩვენ დავრჩით პირღიები. სახლში სინათლეები ჩაქრა, ბრეზენტი ჩამოეფარა და დავრჩით ტროპიკულ ტყეში პალმებისა და გვიმრების ამარა ეს სამი მოტყუებული ყაზილარი.

რა ვქნათ, საით წავიდეთ, მარჯვნივ, მარცხნივ თუ პირდაპირ, აღარ ვიცით. უკუნი სიბნელეა, ჩავკიდეთ ერთმანეთს ხელი და ნელ-ნელა, ბორძიკით როგორღაც გამოვედით ტრასაზე. მანქანის ჭაჭანება არ არის. ღამის ოთხი საათია. როგორც იქნა გამოიარა ერთმა დანჯღრეულმა სატვირთო მანქანამ. გავაჩერე – გავანა? – ვეკითხებით. – სი,სი (დიახ, დიახ), გავანა! ავძვერით მისაბმელზე და რაღაცა მაგარზე დავეყრდენით (ქალაქამდე გვერდებგამოთქვეფილები ჩავედით). ეს ჩვენი მეგრელი მეგობარი საერთოდ სიტყვაძუნწი ვინმე იყო და აღშფოთების ნიშნად, ეს რა გვიყვეს ამ კუბელმა ქალებმაო, წამოისროლა: – ხოხ, სინიორინები, მაგალითად!

– ხოხ კი არა ბიჭო, ვავა, ვავა – უთხრა ჩემმა მეორე მეგობარმა.

მართლაც ვავა, კაპიკი ფული არ. გვიჭყაოდა ჯიბეში, გალეტილები ვიყავით უსაშველოდ. მივედით სასტუმროში და მეგობრებმა გვაჩუქეს ცოტა ფული, სახლამდე შიმშილით რომ არ მოვმკვდარიყავით.

ასე გაგვაცურეს თუ გაგვაცუცურაკეს კუბელმა ქალებმა.

### კახური ყვავილები

ისევ გასტროლებზე ვართ. მაშინ არსებობდა გოგონათა ანსამბლი „აისი“, რომელიც პოპულარული იყო, ათასი ჯილდო და პრემია ჰქონდა მიღებული და მართლაც არაჩვეულებრივი გოგონები იყვნენ გაერთიანებულნი.

კახეთში ვართ გასვლით კონცერტებზე. ამ ჩვენს გოგონებს ეტრფიან ეს კახელები და გიჟდებიან. კონცერტის დროს გვესმის ჩუმი წამოძახილები: – უხ, თქვენ გენაცვალეთ აპანდე! შენ შამოგევლე გოგო მაგ ბროლი ყელშია! გო, ცოლად არ გამომყობი?..

კონცერტის შემდეგ მოდიან, გაცნობა უნდათ გოგონების, ჩვენ კი კაცებს ე.წ. კორდონი გვაქვს გაკეთებული და ვაშოშმინებთ ამ გაგიჟებულ კახელებს, არა, თქვენი ჭირიმე, როგორ შეიძლება, არ შეიძლება, ჩვენი გოგოები არიან, კარგი გოგოები, სხვანაირად არ იფიქროთ... და ვართ ასე ერთ გაწამაწიაში, ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ, სანამ ფარდა დაიხურებოდა და გოგონები სცენიდან გავიდოდნენ, მოვიდა რამდენიმე ზორბა კახელი ყმაწვილი და გვეუბნება:

– ჩვენა აგე, მერამდენედ მოვდივართ თქვენ კონცერტზე და. კარგი გოგოები გყაამთ და კარგაც მღერიან, გვინდოდა რამეთი პატივი გვეცა, ჩამავიარეთ სოფელი, არავის არაი ქონდათ ეზო-ბაღებშია ყვაილები, ე გოგოები მითონ ყვაილები არ არიან? ჰოდა ბევრი ფიქრი მერე აგე ე საზამთროები მოგიტანეთ ყვაილების ნაცვლათა და თქვენი ფეშქაში იყოსო.

აიღეს და დააგორეს ეს საზამთროები სცენაზე






* * *

ოთხი წლის:

მამამ ნათესავებში წაიყვანა, ხალხს ხომ უნდა იცნობდესო.

– ეს შენი მამიდაა, შვილო.

– ეს ბიძაშენი.

– ეს პაპაშენი.

– აი ეს შენი ბიცოლა.

ბავშვი ყველას უხმოდ ათვალიერებს, ბოლოს მამამისს მიუბრუნდა:

– დედა რომელია, დედა?



* * *

ხუთი წლისა: ეზოში თამაშობს. ცოტა ხანში დედას ეძახის:

– დედი, ამოვიდე?

– არა, შვილო, იყავი.

ხუთი წუთის შემდეგ ისევ:

– დედი, ამოვიდე?

– არა, შენ შემოგევლე, იყავი, ითამაშე.

ყოველ ხუთ წუთში უძახის: „დედა ამოვიდე?“.

ძალიან რომ მოაბეზრა თავი, ბოლოს და ბოლოს დედამ უპასუხა:

– ჰო, კარგი, ამოდი.

– ვიქნები, რა.



* * *

ექვსი წლის რომ გახდა, მშობლებმა გადაწყვიტეს მუსიკოსად გაეზარდათ. მიიყვანეს მუსიკალურ სკოლაში. „ფორტეპიანოზე ეს ვერ შეძლებს, თითები არ უვარგა, ჯობია დაფდაფები დაუკრასო“, – ფიქრობდა მამა.

აი, გამოცდები, გულისხეთქვა, ნერვიულობა, დაფდაფების ჯგუფი. ჩვენი გმირიც გამოჩნდა. დასიცხული მშობლები იმ წუთასვე ეცნენ: – რა ქენი, შვილო?

– ჩავიჭერი.

– როგორ?

– ავაცილეე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იყიდეთ, იყიდეთ, რამე...

## ბინები

იყიდება კეთილმოწყობილი საკუთარი სახლი ბელეტაჟზე ორთაჭალაში, საცხოვრებელი ფართი 80 კვ.მ, აქვს იზოლირებული საკუთარი ეზო, ავტოფარეხი, ტელეფონი და დიდი სარდაფი. ფასი 32000 დოლარი. ტელ. 72-26-31

იყიდება 1 ოთახიანი იზოლირებული ბინა მეტრო „სამგორთან“ ნავთლუღის ბაზრის მხარეს. II სართული. ტელეფონით, სარდაფით, ტელ. 63-22-48

იყიდება ორსართულიანი, საუკეთესოდ გარემონტებული, კაპიტალური სახლი 200 კვ.მ საცხოვრებელი ფართით და დამხმარე სათავსოებით, 400 კვ.მ კეთილმოწყობილი ხეხილიანი ეზოთი, აქვს გათბობის და ცხელი წყლის აპარატურა. ფასი შეთანხმებით. მის. ლაითურის ქუჩა (ლოტკინზე) ტელ. 23-51-52

იყიდება 3 ოთახიანი კუთხის ბინა საბურთალოს დასაწყისში 8 სართულიანის ბელეტაჟზე, რემონტით, სარდაფით, პატარა ეზოთი. აქვს მიშენება 60 კვ.მ (კარკასის მდგომარეობაში), ფასი 31000 დოლარი. ტელ. 37-44-43

იყიდება 4 ოთახიანი ბინა ც.დადიანის ქ.№65 I კვ. I სად. VII სართ. ტელ. 95-88-38

სასწრაფოდ იყიდება 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთი კვესეთში. ფასი შეთანხმებით. ტელ. 29-09-09

იყიდება ერთოთახიანი გარემონტებული ბინა მეტრო „გოცირიძესთან“. ჩაშენებული კარადებით, ბელეტაჟზე. აქვს სარდაფი და ტელეფონი. ტელ. 93-12-66

იყიდება 2 ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე იტალიურ ეზოში. დადიანის 13-ში, ფასი 13000$ ტელ. 22-23-32

იყიდება მთის ძირის დასახლებაში კაპიტალური 2 სართულიანი სახლი მანსარდით, დამხმარე სათავსოებით. 7 მეასედი მსხმოიარე ბაღით, ფასი 3500$ ტელ. 63-63-25 ჰანრი და ხატია, 67-59-08 იკითხეთ დავითი

სასწრაფოდ სოლოლაკში იყიდება 2 ოთახიანი იზოლირებული ბინა დიდი შესასვლელით, მაღალჭერიანი, ტელეფონით. საერთო ფართი 80 კვ.მ, ფასი შეთანხმებით. ტელ. 93-66-41

იყიდება 2 ოთახიანი ბინა ნუცუბიძის ქუჩაზე, ფასი 10500$ ტელ. 32-69-01

იყიდება ერთოთახიანი ბინა ვაკეში, ოთახის ფართი 23 კვ.მ, სარდაფით, ტელეფონით, აივნით, მანქანის სადგომი ადგილით, 7 სართულიანი სახლის მე-2 სართულზე. მის. შატბერაშვილის 4. II სადარბაზო, ტელ. 29-46-36

იყიდება ოროთახიანი ქალაქური პროექტის სუფთა ბინა 16 სართულიანის მე-13 სართულზე, ტელეფონით. დიდუბეში, ფასი 11000$ ტელ. 98-75-47 ლია

## ქირავდება

ქირავდება ოთხოთახიანი, ჩეხური პროექტის ბინა მუხიანის დასაწყისში, უავეჯოდ. ფასი 65$ ტელ. 61-97-45

ვაქირავებ ერთოთახიან 18 კვ.მ კომუნალურ ბინას თავისი სამზარეულოთი და ტელეფონით ვაკეში უნივერსიტეტის მე-5 კორპუსთან. ფასი 60$ ტელ. 23-02-28

ქირავდება 2 ოთახიანი ბინა დოლიძის ქუჩაზე. ფასი შეთანხმებით. ტელ. 71-36-65

სასწრაფოდ ვაქირავებ ოროთახიან, ინდივიდუალური პროექტის, ახლადგარემონტებულ ბინას ხუთსართულიანი სახლის მე-5 სართულზე ავეჯით, ტელეფონით, წყლის გამაცხელებელი ავზით, სარდაფით, მანქანის სადგომით, ჭავჭავაძეზე. ფასი 300$ ტელ. 55-79-05 (6 სთ-ის შემდეგ) იკითხეთ ნანა

## სხვადასხვა

იყიდება რუმინული სამზარეულო – ფასი 1200 დოლარი, იაპონური ტელევიზორი „პანასონიკი“ 72 სმ დიაგონალი – ფასი 1600 დოლარი, იაპონური ვიდეომაგნიტოფონი – ფასი 500 დოლარი, ამერიკული მობილური ტელეფონი „მოტოროლა“ კომპიუტერით, აქვს დამატებით ორი ბატარეა – ფასი 1200 დოლარი, კონდინციონერი ფასი 150 დოლარი, ტელევიზორი „იუნოსტი“ (406 დეციმეტრული) შავ-თეთრი – ფასი 150 დოლარი, ფეხით საკერავი მანქანა „პოდოლსკი“ – ფასი 150 დოლარი, წყლის გამაცხელებელი ატმორი ისრაელის გამოშვება – ფასი 100 დოლარი, ტრანზისტორი „ოკეანე“ მუშაობს ელემენტებზე და 220 ვოლტზე – ფასი 60 დოლარი. ტელ. 72-26-31

იყიდება კეთილმოწყობილი მაღაზია თავისი ინვენტარით. ფართი 200 კვ.მ, აქვს საწყობი ლიფტით ფართი 250 კვ.მ. ფასი 35000 დოლარი. ტელ. 72-26-31

სასწრაფოდ იყიდება პიანინო „როსტოვ-დონი“. ფასი 200 დოლარი, ვიდეომაგნიტოფონი. ფასი 200$ ცომის გასაბრტყელებელი დანადგარი. ფასი 250$ ტელ. 29-09-09

იყიდება რუმინული წარმოების „ელაია“ „ონიქსი“ 11 ნაჭერი, ფასი 120 ლარი. ტელ. 96-10-50

იყიდება გერმანული სამზარეულო „რენატა“. ახალი, შეფუთული. ფასი 800$ ტელ. 99-78-08 მერი

იყიდება სამზარეულო კომბაინი. გერმანული KM8A, გაუხსნელი. ფასი 150$ ტელ. 35-41-62 თათია

იყიდება 20 მმ-ანი ფანერა 3 კვ.მ ფართობის 2 ცალი. 1 ცალის ფასი 30 ლარი. იყიდება ბულგარული წარმოების წიგნის თაროები. ფასი 25 ლარი. ტექნიკური ენციკლოპედია, 24 ტომი, რუსულ ენაზე. საწყისი ფასი 100 ლარი. ტელ. 22-23-32 მანანა

იყიდება ფანჯრის ჟალუზები „გარმოშკა“. 3 ცალი. ფასი 100 ლარი. კვ.მ მეტრის ტელ. 95-30-47

## შევიძენ

შევიძენთ ოთახნახევრიან ან ოროთახიან იზოლირებულ ბინას დაბალ სართულებზე ტელეფონით, კოლმეურნეობის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე ან სოლოლაკში 8000 დოლარად. ტელ. 98-75-47 ლია

ვიქირავებ დიდ დიღომში I-II მკრ-ში ერთოთახიან, ტელეფონიან ბინას 40 ლარის ფარგლებში. ტელ. 67-33-49 იკითხეთ ლალი (საღამოს საათებში)

## ვამზადებ

ვამზადებ ქართულ ენასა და ლიტერატურაში აბიტურიენტებს და სკოლის მოწაფეებს. ფასი შეთანხმებით. ტელ. 38-18-84

მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს მათემატიკაში. ფასი შეღავათიანია. ტელ. 72-26-72

ვამზადებ მოსწავლეებს ინგლისურში. ფასი 20$ ტელ. 68-99-72 თამუნა

ვამეცადინებ სკოლის მოსწავლეებს. ტელ. 22-15-46

**მოსწავლეთა საყურადღებოდ!**

*განათლების სამინისტროს თბილისის ინფორმატიკის სასწავლო მეთოდური ცენტრი „მზიური“ აცხადებს მოსწავლეთა მიღებას პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში.*

**მიიღებიან VI-IX კლასების მოსწავლეები**

განცხადებები მიიღება 11 სექტემბრამდე

მისამართი: ი.ჭავჭავაძის I ჩიხი, №37

(ბავშვთა ქალაქ „მზიურის“ ტერიტორია)

ტელ. 29-48-60; 29-48-61; 23-53-17

**ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს**

დაგვირეკეთ: 93-18-41

## გილოცავთ

**ქეთინო ელყანიშვილს** ვულოცავთ დაბადების დღეს და სკოლაში წასვლას.

ფაცია ბებო, ია, ქეთი და ხათუნა

**არარატ ბაბაჯანიანს!**

ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს.

ლია ბზიკაძე, იზო ავლოხაშვილი

**არარატ ბაბაჯანიანს!**

ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას. იყავი მუდამ ბედნიერი შენს სათაყვანო ოჯახთან ერთად.

სტამბის კოლექტივი



**კომპიუტერზე მუშაობის შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ!**

განათლების სამინისტროს თბილისის ინფორმატიკის სასწავლო-მეთოდური ცენტრი „მზიური“ გიწვევთ პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე

- თქვენ შეისწავლით MS Office პაკეტის გამოყენებას თანამედროვე ოფისში
- თანამედროვე პერსონალური კომპიუტერები და კვალიფიციური პედაგოგები
- საერთაშორისო სტანდარტის სასწავლო პროგრამები და მეთოდიკა
- ინტერნეტის საუკეთესო სერვისი World Wide Web
- სერთიფიკატი, რომელიც გზას გაგიხსნით პრესტიჟული სამსახურისაკენ.

მისამართი: ი.ჭავჭავაძის I ჩიხი, №37

(„მზიურის“ ტერიტორიაზე, ჩოგბურთის კორტებთან)

ტელ. 29-48-61; 23-53-17; 29-48-60 ფაქსი 29-49-61

აუდიტ AUDIT

აუდიტორული საქმიანობის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

**ექსპრეს-აუდიტ სერვისი**

ლიცენზირებულია №091

გთავაზობთ შემდეგი სახის აუდიტორულ მომსახურებას ზოგად აუდიტში

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება და შეფასება. 2. საკონსულტაციო მომსახურება და რეკომენდაციები. 3. ქონების შეფასება. 4. ბუღალტრული მომსახურება.

მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5 II სართული. ტელ. 93-15-89

რეკლამა ჩვენთან



თქვენი საქმიანობის წარმატების საწინდარია!

დაგვირეკეთ 93-18-41

საქართველო

## ქლინთონი მარკესს შეხვდა

ხუთშაბათს აშშ-ის პრეზიდენტმა ბილ ქლინთონმა „თეთრ სახლში“ მიიწვია ცნობილი მწერალი გაბრიელ გარსია მარკესი, რომელმაც პრეზიდენტს გადასცა თავისი ბოლო წიგნი „ცნობა გატაცების შესახებ“.

მარკესი ამერიკაში იმყოფება თავისი წიგნის („მარტოობის ასი წელი“) პირველი გამოცემის 30 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ სადღესასწაულო ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად. აღნიშნული წიგნისათვის მარკესი 1982 წელს ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა. პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებისათვის მიცემულ ინტერვიუში მწერალმა განაცხადა, რომ მისი ახალი წიგნი მსოფლიოში ნარკომაფიის გავლენის ზრდას ეძღვნება. მისი თქმით, პრობლემას იგი ნარკოტიკული ნივთიერებებით ვაჭრობაში კი არ ხედავს, არამედ მასზე მოთხოვნილების ზრდაში. (გეა)

## საბოლოოდ დაესვა წერტილი

რუსეთსა და ნატოს მიმდინარე კვირის დასასრულს ბოსნიაში დაგეგმილ ადგილობრივ არჩევნებთან დაკავშირებით ერთი აზრი გააჩნიათ, - ნათქვამია რუსეთ-ნატოს მუდმივმოქმედი ერთობლივი საბჭოს მიერ გავრცელებულ პრეს-რელიზში.

მიმომხილველთა თქმით, აღნიშნულმა განცხადებამ საბოლოოდ დაუსვა წერტილი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გავრცელებულ ცნობას, ნატოსა და რუსეთის ხელმძღვანელობას შორის ბოსნიაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით წარმოშობილი უთანხმოებების შესახებ. (გეა)

## განხეთქილების დღე

ჩილეს დედაქალაქში სამხედრო გადატრიალების 24-ე წლისთავთან დაკავშირებით გამართული მსვლელობის დროს პოლიციასა და მანიფესტანტებს შორის მომხდარი შეტაკების შედეგად 4 ადამიანი დაშავდა. პოლიციამ 100-მდე დემონსტრანტი დააპატიმრა.

ხელისუფლების მრავალჯერადი მოწოდებების მიუხედავად, პუტჩის წლისთავი აღნიშნული იქნა გენერალ აგუსტო პინოჩეტის მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების შეტაკებებით. ხუთშაბათს დილით ყვავილებით შეამკეს პრეზიდენტ სალვადორ ალიენდეს საფლავი. იმავდროულად ჩილელების მეორე ჯგუფი მხურვალედ ესალმებოდა გენერალ პინოჩეტს ჩილეს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის რეზიდენციაში, რომელსაც მიმდინარე წელს 82 წელი შეუსრულდება, ხოლო მომავალ წელს იგი თანამდებობიდან უნდა გადადგეს. შუადღისას კი დიქტატურის დროს დაღუპულთა მემორიალთან გამართული მიტინგის მსვლელობისას მანიფესტანტებსა და პოლიციას შორის შეტაკებები დაიწყო. საბოლოოდ, მიტინგი შეწყდა და მონაწილეები დაიშალნენ. მიმომხილველთა თქმით, 11 სექტემბერი კვლავ ჩილეს ხალხის განხეთქილების დღედ დარჩება ისტორიაში. (გეა)

# რატომ ვერ ჩამოვიდა პრინცესა დაიანა საქართველოში?



იმ დღეს, როცა ბულგარელი დიპლომატი ალექსანდრე მარინოვი თბილისში ავტომანქანით დაეჯახა ორ ახალგაზრდას, რომლებიც საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალნენ, ინგლისში მიმდინარეობდა მოლაპარაკება პრინცესა დაიანას საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით, - უთხრა პრაიმ-ნიუსს საქართველოში „წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის“ საერთაშორისო ფედერაციის მისიის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა რიჩარდ გროუპილზმა.

გროუპილზის თქმით, 13 ივლისს ლონდონში მიმდინარეობდა მოლაპარაკება პრინცესა დაიანასა და ბრიტანეთის „წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის“ ფედერაციას შორის, რომლის ხაზითაც პრინცესა უნდა ჩამოსულიყო საქართველოში.

მოლაპარაკებები შეწყდა და რამდენიმე თვით გადაიდო, რადგან სწორედ იმ დღეს მოახდინა თბილისში ავარია წითელი ჯვრის ფედერაციის მისიის ხელმძღვანელმა საქართველოში ალექსანდრე მარინოვმა.

მარინოვის საქმის გამოძიება დროებით შეწყდა, რადგან მისი დიპლომატიური იმუნიტეტი ისევ ძალაშია, უთხრა პრაიმ-ნიუსს თბილისის პოლიციის საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების გამოძიების განყოფილების უფროსმა ვახტანგ ბედოშვილმა.

მისი თქმით, თუ მარინოვს მოუხსნიან იმუნიტეტს, რაც მხოლოდ „წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის“ საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული, სავსებით შესაძლებელია, რომ მარინოვმა სასჯელი სამშობლოში მოიხადოს.

*(პრაიმ-ნიუსი)*

# ლატარია ყველასათვის

## 12 სექტემბერს გამართულ 36-ე ტირაჟში «ლატარია ყველასათვის» მოიგო შემდეგმა ნომრებმა:

| | |
|---|---|
| 5000 ლარი – 523857; | 80 ლარი – *39841; |
| 1000 ლარი – 148597; | 80 ლარი – *02892; |
| 900 ლარი – 582979; | 70 ლარი – *31210; |
| 800 ლარი – 270465; | 70 ლარი – *88823; |
| 700 ლარი – 402933; | 60 ლარი – *56814; |
| 600 ლარი – 382146; | 60 ლარი – *79478; |
| 500 ლარი – 379874; | 50 ლარი – *73630; |
| 500 ლარი – 364076; | 50 ლარი – *93072; |
| 400 ლარი – 280561; | 40 ლარი – *02982; |
| 400 ლარი – 359046; | 40 ლარი – *44816; |
| 300 ლარი – 442721; | 30 ლარი – *82494; |
| 300 ლარი – 570817; | 30 ლარი – *19436; |
| 200 ლარი – 136632; | 25 ლარი – **0309; |
| 200 ლარი – 113505; | 20 ლარი – **6552; |
| 100 ლარი – 315251; | 10 ლარი – ***323; |
| 100 ლარი – 175654; | 10 ლარი – ***765; |
| 100 ლარი – 480703; | 10 ლარი – ***856; |
| 100 ლარი – 337787; | 1 ლარი – ***979; |
| 100 ლარი – 248290; | 1 ლარი – ***597; |
| 90 ლარი – *64361; | 1 ლარი – ***857; |
| 90 ლარი – *37901; | |

„ლატარია ყველასათვის“ გათამაშდება ყოველ პარასკევს.

1997 წლის 36-ე ტირაჟის ლატარიის ბილეთების მფლობელები რომელთა ბოლო ოთხი ციფრია **2169; 4280;** შეუძლიათ 19 სექტემბერს მობრძანდნენ ტელევიზიის შენობაში „ლატარია ყველასათვის“ მორიგი ტირაჟის გათამაშებაზე.



## ოლბრაიტის სამშვიდობო მისია

გუშინ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაიტი, რომელიც ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო მისიით იმყოფება, კვლავ შეხვდა პალესტინის ავტონომიის ლიდერს იასირ არაფატს, რომელსაც ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუსთან ჩატარებული მოლაპარაკებების შედეგები მოახსენა.

გუშინვე ოლბრაიტი სიტყვით გამოვიდა მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქ რამალაჰის ერთ-ერთი არაბული კოლეჯის სტუდენტების წინაშე. პალესტინიდან აშშ-ის სახელმწიფო მდივანი დამასკოში გაემგზავრება.

## 150 ადამიანი დაიღუპა

ავღანეთის ისლამური მოძრაობა „თალიბანის“ შინაგან საქმეთა მინისტრმა ტაჯიკეთის ხელისუფლება ანტითალიბური კოალიციის დახმარებაში დაადანაშაულა.

მინისტრის თქმით, 11 სექტემბერს ტაჯიკეთის ქალაქ ქულიაბიდან გამოფრენილმა ავიაგამანადგურებლებმა ქალაქ მაზარი-შარიფთან თალიბების პოზიციები დაბომბეს. ანტითალიბური კოალიციის ლიდერებმა მოწინააღმდეგეთა ბრალდებები უარყვეს. თალიბთა მონაცემებით, დაბომბვის შედეგად 150 ადამიანი დაიღუპა. ადგილობრივ დამკვირვებელთა თქმით, საავიაციო რეიდი კოალიციის ჯარებმა თალიბების მიერ ერთ-ერთ სოფელში 70 ადამიანის უმოწყალოდ დახოცვის საპასუხოდ განახორციელეს.

დაპირისპირებული მხარეებიდან თითოეული კვლავ ამტკიცებს, რომ მაზარი-შარიფის აეროპორტს მისი ძალები აკონტროლებენ. კოალიციის ლიდერთა განცხადებით, თალიბანის ძირითადი ძალები მაზარი-შარიფიდან 50 კილომეტრზე განდევნეს, ხოლო გენერალ აბდულ მალიქს ქალაქზე განხორციელებული შეტევის დროს მისი ტერიტორია არ დაუტოვებია, როგორც ამას თალიბები ამტკიცებდნენ. (გეა)

# შაყირვორდი



*მიწოლილად:* 2. „გალში სახმარი“ სამხაზველო ხელსაწყო; 5 „თეთრი გიას“ ქვეყანა (რუს.კავშ.); 7. „ორი კაცის ტრიალით“ გამოწვეული უწესრიგობა; 9. „ლებნებიანი და ბარდებიანი“ კურორტი სამეგრელოში; 12. „ჩუზე მჯდარი“ ქალის ალკაზმულობის ერთ-ერთი ატრიბუტი; 13. „იზას თემის“ დეკორატიული მცენარე; 14. „უჩას“ სასეირნო გზა; 16. ნორჩი „ქორის მეოთხე მუს.ნოტი“; 17. ჩვეულებრივი „ბრალის გარეშე“; 19. „ასი ათი“ ანუ... 20. პოეტი, რომელიც „შვილს ბარათებს“ უგზავნიდა; 26. „რუხი ფერის“ დედალი; 28. „ნარზე მწოლი“ ზარმაცი; 29. (ო) „კოლონიაში დასასხმელი“ სუნამო; 32. „ქათმების ორი“ დასასვენებელი ადგილი (ნაწ.რუს.კავშ.); 33. კალიანი „კამფეტი“ (ბავშვ. ენაზე); 34. „ულვაშებიანი“ მოუსვენარი მოძრაობა (რუს.კავშ.).

*მიყოლებით:* 1. „გაციებული რეპეტე“; 2. „ფაფანაჭამი“ ნოტი; 3. „ტოების“ ჩამოსაჯდომი ტოტი; 4. ცხოველი, რომელსაც ხშირად ლეკვიც უსწორდება; 6. „ლაყუჩებით“ მიწყნარებული; 8. „ლექტორების გაციებული“ გაკვეთილი; 10. „ისაა“ ქალის სახელი (რუს.კავშ.); 11. „ორივე დათოს“ გამეტება (ნაწ.რუს.კავშ.); 15. ეს მკბენარა ნაყოფი მოხარშულიც, შემწვარიც და უმიც კარგია; 18. „ლაკიანი და ულვაშებიანი“ სალებავი ნივთიერება (რუს.კავშ.); 21. „ვერაზე მცხოვრები“ გიორგი სააკაძის მეუღლის როლის შემსრულებელი; 22. „პირი მინდაო“ ამბობს ეს გეომეტრიული ფიგურა; 23. „ქარიანი“ დაშინება; 24. (ი) „და ხელში გაძლევს“ ეს ქალი (რუს.კავშ.); 25. ჯღანების მოყვარული კაცის, მამის სახელი; 27. აგურის პადდელნიკი; 30. „მზის ჩასვლის დროს“ დაწერილი ოპერა; 31. „საბერძნეთის ქალაქის სახელობის ნიკას საყვარელი“ ქუჩა ქუთაისში.

*კობა ბაიდოშვილი*

მთავარი რედაქტორის მოადგილე
გელა ებანოიძე

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444